მენორა

מנורה

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

მებრაული გაზეთი საქართველოში
MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

„МЕНОРА"
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

აპრილი
(ნისანი)
15-30
№8 (272)
(5767 ᲬᲔᲚᲘ)
2008 ᲬᲔᲚᲘ
ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ

გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!
ფსალმუნი 4:7

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲤᲔᲡᲐᲮᲡ – ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ

და მოკვდინდა ეგვიპტელთა მთელი სამწყსო, ხოლო ისრაელის ძეთა სამწყსოდან არცერთი არ მოკვდინებულა (გამ.9-6)

გამოსვლა

თავი მეექვსე

უთხრა უფალმა მოშეს: აწ იხილავ, რას ვუზამ ფაროს, რამეთუ ძლიერი ხელი (იძულებელყოფს მას) გაუშვას ისინი და ძლიერი ხელი აიძულებს გაყაროს თავისი ქვეყნიდან.

2. ელაპარაკა ღმერთი მოშეს და უთხრა მას: მე ვარ უფალი!

3. ყოვლადძლიერ ღმერთად გამოვეცხადე აბრაჰამს, იცხაკს და იაკობს. და ჩემი სახელი — უფალი — არ მიუწყებია მათთვის.

4. ჩემი აღთქმა დავადგინე მათთან, რათ მივცე მათ ქვეყნის ქენაანის ქვეყანა, მათი საცხოვრებელი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ.

5. მევე ვისმინე სულთქმა ისრაელის ძეთა, რომელთაც ეგვიპტელნი იმონებენ, და გავიხსენე ჩემი აღთქმა.

6. ამიტომ უთხარი ისრაელის ძეებს: მე ვარ უფალი, მე გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა წამებათაგან, მე გადაგარჩენთ მათი მონობისაგან, მე გიხსნით გაწვდილი მკლავით და განსჯებით.

7. აგიყვანთ ჩემს ხალხად და ვიქნები თქვენს ღმერთად. შეიცნობთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა წამებათაგან თქვენი გამომყვანი.

8. მიგიყვანთ იმ ქვეყანაში, რომელზეც (ფიცით) აღვმართე ხელი, რომ ის ვუბოძო აბრაჰამს, იცხაკს და იააკობს. თქვენთვის მომიცია იგი სამკვიდროდ. მე ვარ უფალი.

9. ასე ელაპარაკა მოშე ისრაელის ძეებს, მაგრამ არ უსმინეს მოშეს სულმოკლეობისა და მძიმე სამუშაოს გამო.

10. ელაპარაკა უფალი მოშეს ამ თქმით:

11. მიდი, ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს, გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

12. ილაპარაკა მოშემ უფლის წინაშე, ამ თქმით: აი, ისრაელის ძეებმა არ ისმინეს ჩემი. როგორც მომისმენს ფარო, მე ხომ ბაგებრგვილი ვარ?

13. ელაპარაკა უფალი მოშეს და აჰარონს და აბრძანებინა ისრაელის ძეთათვის და ფაროსათვის, ეგვიპტის მეფისათვის, ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძეთა გამოყვანა.

14. ესენი არიან თავიანთი მამისეული სახლეულების მეთურები: ისრაელის პირმშოს — რეუბენის ძენი: ხაროხი, ფალუ, ხეცრონი და ქარმი. ესენია რეუბენის საგვარეულონი.

15. შემონის ძენი: იემუელი, იამინი, ოჰადი, იახინი და ცოხარი და შაული, ძე ქენაანელი დედაკაცისა. ესენია შიმონის საგვარეულონი.

16. ესენია ლევის ძეთა სახელები თავიანთი გვარტომობით: გერშონი, კეჰათი, მერარი. ლევის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ჩვიდმეტი წელი.

17. გერშონის ძენი: ლიბნი და შიმი თავიანთი საგვარეულოებით.

18. კეჰათის ძენი: ამრამი, იცჰარი, ხებრონი და უზიელი. ჰაკეთის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ცამეტი წელი.

19. მერარის ძენი: მახლიდა და მუში. ესენია ლევის საგვარეულონი თავიანთი გვარტომეულობით.

20. და მოიყვანა არამმა იოზებედი, თავისი მამიდა, ცოლად და ქალმა მას უშვა აჰარონი და მოშე, აბრამის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაჩვიდმეტი წელი.

21. იცჰარის ძენი: კორახა, მეფეგი და ციხრი.

22. უზიელის ძენი: მიშაელი, ელცაფანი და სითრი.

23. აჰარონმა ცოლად მოიყვანა ელიშება, ამინადაბის ასული, ნახშონის და. მას უშვა ქალმა ნადაბი, ამიჰუ, ელაზარი და ითამარი.

24. კორახის ძენი: ასირი, ელკანა და აბისაფი. ესენია კორახელთა საგვარეულო.

25. და ელაზარმა, არახონის ძემ, ცოლად მოიყვანა ფუტიერის ასულთაგანი და უშვა მას ფიმხასი. ესენი არიან ლევიელთა მამამთავარნი თავიანთი საგვარეულოებით.

26. ეს ის აჰარონი და მოშეა, რომელთაც უთხრა უფალმა: გაიყვანეთ ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან თავიანთი ლაშქრებითურთ.

27. ისინი ელაპარაკებოდნენ ფაროს, ეგვიპტის მეფეს, ეგვიპტიდან ისრაელის ძეთა გაყვანისათვის. ესენი იყვნენ მოშე და აჰარონი.

28. და იმ დღეს იყო, რომ ელაპარაკებოდი უფალი მოშეს ეგვიპტის ქვეყანაში.

29. ელაპარაკა უფალი მოშეს, ამ თქმით: მე ვარ უფალი. რასაც მე ვლაპარაკობ შენთან, ყველაფერი ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს.

30. თქვა მოშემ უფლის წინაშე: აჰა, მე ვარ ბაგებრგვილი, როგორ მომისმენს მე ფარო?

თავი მეშვიდე

უთხრა უფალმა მოშეს: შეხედე, ღვთის (ნაცვლად) დამიდგენიხარ ფაროსთვის. და აჰარონი, შენი ძმა, შენი წინასწარმეტყველი იქნება.

2. შენ ილაპარაკებ ყველაფერს, რასაც გიბრძანებ, ხოლო შენი ძმა აჰარონი ფაროსთან ილაპარაკებს, რომ გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

3. მე გავამძვინვარებ ფაროს გულს, გავამრავლებ ჩემს ნიშნებსა და ჩემს სასწაულებს ეგვიპტის ქვეყნად.

4. არ მოგისმენთ თქვენ ფარო და მე მივყოფ ჩემს ხელს ეგვიპტეს. და დიდი განსჯებით გამოვიყვან ჩემს ლაშქრიონებს, ჩემს ხალხს, ისრაელის ძეებს ეგვიპტის ქვეყნიდან.

5. და შეიტყობენ ეგვიპტელნი, რომ ვარ უფალი, როცა გავიწვდი ჩემს ხელს ეგვიპტეზე და გამოვიყვან ისრაელის ძეებს მათი წიაღიდან.

6. მოშე და აჰარონი ისე ქმედობდნენ, როგორც ამცნო მათ უფალმა, ისე აღასრულეს.

7. მოშე იყო ოთხმოცი წლისა, ხოლო აჰარონი ოთხმოცდა სამი წლისა, როცა ისინი ფაროსთან ლაპარაკობდნენ.

8. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს ამ თქმით:

9. თუ გეტყვით თქვენ ფარო, ამ თქმით: ჰყავთ სასწაული, უთხარი აჰარონს: აიღე შენი კვერთხი და წინ დაუგდე ფაროს — გველად იქცევა იგი.

10. მივიდნენ ფაროსთან მოშე და აჰარონი და იმოქმედეს ისე, როგორც ბრძანა უფალმა. გადაისროლა აჰარონმა თავის კვერთხი ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა გველად.

11. უხმო ფარომ ბრძენებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოქრობით იგივე გააკეთეს.

12. გადაისროლეს თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. და შთანთქა აჰარონის კვერთხმა მათი კვერთხები.

13. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ილაპარაკა უფალმა.

14. უთხრა უფალმა მოშეს: გული დაუმძიმდა ფაროს, უარობს ხალხის გაშვებას.

15. წადი დილით ფაროსთან. აჰა, წყალთან გამოვა და შენ დადექი მის შესახვედრად, ნილოსის პირას. და კვერთხი, გველად რომ იქცა, ხელთ აიღე.

16. უთხარი მას: უფალმა, ებრაელთა ღმერთმა, მომავლინაო შენთან, ამ თქმით: გაუშვი ჩემი ხალხი და უდაბნოში მსახურებდეს მე. და აჰა, არ ისმინე აქამდე.

17. ასე თქვა უფალმა: ამით შეიტყობ, რომ მე ვარ უფალი: აჰა, ამ კვერთხს, ჩემს ხელთ რომ არის, დავკრავ ნილოსის წყალს და სისხლად იქცევა.

18. თევზი, რომელიც ნილოსშია, მოკვდინდება. აყროლდება ნილოსი და ეგვიპტელნი ვეღარ დალევენ წყალს ნილოსიდან.

19. უთხრა უფალმა მოშეს: უთხრა აჰარონს: აიღეო შენი კვერთხი და გაიწოდე შენი ხელი ეგვიპტელთა წყლებზე: მათ მდინარეებზე, მათ ნაკადულებზე, მათ ტბებზე და მათი წყლების ყოველ შესაკრებელზე, და იქცევიან სისხლად, სისხლი იქნება ეგვიპტის მთელ ქვეყანაში, ხეში თუ ქვაში.

20.ისე იმოქმედეს მოშემ და აჰარონმა, როგორც ბრძანა უფალმა. აღმართა კვერთხი და დასცა ნილოსის წყალს, ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა სისხლად ნილოსის მთელი წყალი.

21. მოკვდინდა თევზი ნილოსში, აყროლდა ნილოსი და აღარ ძალუძდათ ეგვიპტელებს წყლის სმა ნილოსიდან. და იყოს სისხლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

22. იგივე იმოქმედეს ეგვიპტელმა გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

23. უკუ იქცა ფარო და მივიდა თავის სახლში. და არც ამან გარდაქმნა მისი გული.

24. და მთელი ეგვიპტე თხრიდა ნილოსის ირგვლივ, სასმელი წყალი (რომ ეპოვათ), რამეთუ არ ძალუძდათ ნილოსის წყლის სმა.

25. უფლის მიერ ნილოსის წახდენის შემდეგ შესრულდა შვიდი დღე.

26. უთხრა უფალმა მოშეს: მიდი ფაროსთან და უთხარი მას, ასე თქვაო უფალმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მსახურობდეს მე.

27. და თუ უარობ შენ გაშვებას, აჰა, გომბეშოებით გავგმირავ მთელ შენს საზღვრებს.

28. ნილოსი გამოაქვეწარმავლებს გომბეშოებს, ამოვლენ და შეესევიან შენს სახლს, შენს საწოლ ოთახს, შენს სარეცელს, შენს მორჩილთ სახლებს, შენს ხალხს, შენს თონეებსა და შენ ვარცლებს.

29. შემოგესევათ გომბეშოები და თავად შენ, შენს ხალხს და მთელ შენს მორჩილებს.

თავი მერვე

უთხრა უფალმა მოშეს: უთხრა აჰარონს: გაიწოდე შენი ხელი შენი კვერთხითურთ მდინარეებზე, ნაკადულებზე, ტბებზე და ამოიყვანე გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად.

2. გაიწოდა აჰარონმა თავისი ხელი ეგვიპტის წყლებზე და ამოვიდა გომბეშო და დაფარა ეგვიპტის ქვეყანა.

3. იგივე მოიმოქმედეს გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით:ამოიყვანეს გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად.

4. იხმო ფარომ მოშე და აჰარონი და უთხრა: შეევედრეთ უფალს და მოაშოროს გომბეშოები ჩემგან და ჩემი ხალხისგან. და გავუშვებ ამ ხალხს და შესწირონ მსხვერპლი უფალს.

5. უთხრა მოშემ ფაროს: იყავ ზვიადი ჩემდამი (და დამიდგინე), როდის შევევედრო შენთვის, შენს მორჩილთათვის, შენი ხალხისთვის — გომბეშოთა მოსასპობად შენგან და შენს ხალხთაგანა, მხოლოდ ნილოსში დარჩებიან.

6. უთხრა: ხვალ. უთხრა (მოშემ): შენი სიტყვისამებრ იყოს, რათ იცოდე, რომ არავინ არს, ვითარცა უფალი, ჩვენი ღმერთი.

7. და მოგშორდებიან გომბეშოები შენ და შენს სახლებს, შენს მორჩილებს და შენს ხალხს მხოლოდ ნილოსში დარჩებიან.

8. გამოვიდნენ მოშე და აჰარონი ფაროსგან. და ღაღადჰყო მოშემ უფლის მიმართ გომბეშოთა გამო, რომელნიც შეუსია ფაროს.

9. და აღასრულა უფალმა მოშეს სიტყვა და მოკვდინდნენ გომბეშოები სახლებში, ეზოებსა და ყანებში.

10. მოაგროვეს ისინი გროვებად და ამყრალდა ქვეყანა.

11. იხილა ფარომ, რომ იყო მოფონება და გაიმძვინვარა თავისი გული, არ მოუსმინა მათ როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

12. უთხრა უფალმა მოშეს: უთხრა აჰარონს: გაიწოდე შენი კვერთხი და დაჰკარი მიწის მტვერს და გარდაიქცევა მკბენარად მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

13. და ასეც გააკეთეს: გაიწოდა აჰარონმა თავისი ხელი თავისი კვერთხითურთ და დაჰკრა მიწის მტვერს, და მოედო მკბენარი ადამიანსა და პირუტყვს, მთელი მიწის მტვერი მკბენარად იქცა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

14. და ასე მოიმოქმედეს გრძნეულებმაც თავიანთი ჯადოქრობით, რომ გამოედევნათ მკბენარები, მაგრამ ვერ შეძლეს. და მოედო მკბენარი მიწას და პირუტყვს.

15. უთხრეს გრძნეულებმა ფაროს: ეს ღვთის თითია! და გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ მოუსმინა მათ, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

16. უთხრა უფალმა მოშეს: ადექი დილაადრიანად და წარდექი ფაროს წინაშე. აჰა, გამოდის წყალთა, და უთხარი მას: ასე თქვაო უფალმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მსახურობდეს მე.

17. თუ არ გამოუშვებ ჩემ ხალხს, აჰა, მოგისევ აროვს (გარეულ მცხეთა და ქვეწარმავალთა ნარევს) შენ და შენს მსახურთ, შენს ხალხს, შენს სახლებს და აივნებსა აროვით ეგვიპტელთა სახლები და ის მიწაც, სადაც ისინი არიან.

18. და გამოვყოფ იმ დღეს გოშენის მიწას, სადაც ჩემი ხალხი დგას, რომ იქ არ იყოს აროვი, რათა იცოდე, რომ ქვეყნის წიაღში ვარ მე, უფალი.

19. დავდებ განაპირებას ჩემს ხალხსა და შენს ხალხს შორის. ხვალ იქნება ეს ნიშანი.

20. და ასე გააკეთა უფალმა. შეესია მძიმე აროვი ფაროს სახლეულს, მის მორჩილთა სახლეულს, მთელ ეგვიპტის ქვეყანას, წარიხოცა ქვეყანა აროვისაგან.

21. უხმო ფარომ მოშეს და აჰარონს და უთხრა: წადით, შესწირეთ მსხვერპლი თქვენს ღმერთს ამ ქვეყანაში.

22. უთხრა მოშემ: არასწორია ამის კეთება, რამეთუ სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ჩვენი მსხვერპლშეწირვა უფლისადმი, ჩვენ ღმერთისადმი. ხომ ჩაგვქოლავენ, რომ შევწიროთ ეგვიპტელთათვის საძაგელი მსხვერპლი მათ თვალწინ?

23. სამი დღის სავალ გზაზე წავალთ უდაბნოში და შევწირავთ მსხვერპლს, უფალს, ჩვენს ღმერთს, როგორც გვიბრძანებს ჩვენს.

24. უთხრა ფარომ: მე გაგიშვებთ თქვენ და შესწირეთ მსხვერპლი უფალს, თქვენს ღმერთს, უდაბნოში, მხოლოდ შორს ნუ წახვალთ. შეევედრეთ ჩემთვის.

25. უთხრა მოშემ: აჰა, მე გავდივარ შენგან და შევევედრები უფალს, რომ ხვალვე გაშორდეს აროვი ფაროს, მის მორჩილთ და მის ხალხს. მხოლოდ შეწყვტოს დაცინვა ფარომ და არგაშვება ხალხისა უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად.

26. გავიდა მოშე ფაროსგან და შეევედრა უფალს.

27. აღასრულა უფალმა მოშეს სიტყვა და მოაშორა აროვი ფაროს, მის მორჩილთ და მის ხალხს. ერთიც არ დარჩენილა.

28. გაიმძვინვარა გული ფარომ ამჯერადაც და ხალხი არ გაიშვა.

თავი მეცხრე

უთხრა უფალმა მოშეს: მიდი ფაროსთან და ელაპარაკე მას: ასე თქვაო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა — გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურებდეს მე.

2. თუ იუარებ შენ მათ გაშვებას და კვლავ შეაკავებ,

3. აჰა, უფლის ხელი იქნება შენს საწყმსოზე, მინდვრად რომ გყავს — ცხენებზე, სახედრებზე, აქლემებზე და ცხვარ-ძროხაზე — ფირად მძიმე ჭირი.

4. გამოყოფს უფალი ისრაელის სამწყსოს ეგვიპტელთა სამწყსოსაგან და არაფერი არ დაეხოცებათ ისრაელის ძეებს.

5. დაადგინა დრო უფალმა და თქვა: ხვალ მოიმოქმედებს ამ საქმეს უფალი ქვეყანაში.

6. მოიმოქმედა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა მთელი საწმყსო, ხოლო ისრაელის ძეთა სამწყსოთაგან არც ერთი არ მოკვდინებულა.

7. წარავლინა შესატყობად ფარომ და, აჰა, არც ერთი არ იყო მოკვდინებული ისრაელის საწმყსოთაგან. გამძვინვარდა ფაროს გული და ხალხი არ გაუშვა.

8. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს: აიღეთ თქვენ სავსე პეშვი საკირის ნაცარი და ცისკენ ააფრქვიოს მოშემ ფაროს თვალწინ.

9. იქცევა მტვრად მთელი ეგვიპტის ქვეყნისათვის და ჩირქოვან წყლულებად გამოეყრება ადამიანს და პირუტყვს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

10. აიღეს საკირის ნაცარი და წარდგნენ ფაროს წინაშე. ააფრქვია ის მოშემ ცისკენ და იქმნა გამონაყარი ჩირქოვან წყლულებად, ადამიანსა და პირუტყვზე.

11. და ვერ შეძლეს გრძნეულებმა წარდგენა მოშეს წინაშე გამონაყარის გამო, რამეთუ გამონაყარი ჰქონდათ გრძნეულებსაც და მთელს ეგვიპტეს.

12. გაამძვინვარა უფალმა ფაროს გული და არ ისმინა მათი, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა მოშესთვის უფალს.

13. უთხრა უფალმა მოშეს: ადექი დილაადრიანად, წარდექი ფაროს წინაშე და უთხარი მას: ასე თქვაო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურებდეს მე.

14. რამეთუ ამჯერად ყველა ჩემს სენს მოვივლენ შენს გულს, შენს მორჩილთ და შენს ხალხს, რათ შეიტყო, რომ არავინ არის ჩემი სადარი მთელს დედამიწაზე.

15. რამეთუ ახლავე გავიწვდიდი ჩემს ხელს და მოგსრავდი შავი ჭირით შენ და შენს ხალხს და წარიხოცებოდი ამ ქვეყნიდან.

16. მაგრამ იმისთვის დაგტოვე, რათა ჩემი ძალა გიჩვენო და აუწყო ჩემი სახელი მთელს ქვეყანას.

17. შენ კვლავ ქედმაღლობ ჩემს ხალხზე, რომ არ გაუშვა.

18. აჰა, ვაწმივებ ხვალ ამ დროს მძიმე სეტყვას, რომლის მსგავსი ეგვიპტეში არ ყოფილა დღიდან მისი დაფუძნებისა აქამდე.

19. და აწ წარავლინენ (მორჩილი), წამოასხი შენი საწყმსო და ყველაფერი, რაც მინდვრად გყავს. ყოველი ადამიანია და პირუტყვი, რაც კი მდელოზე დარჩება და

შინ არ შეიკრიბება, დაისეტყვება და გაიჟლიტება.

20. ფაროს მორჩილთაგან ვინც შეუშინდა უფლის სიტყვას, სახლებში შეაფარა თავისი მონები და თავისი საწყმსო.

21. და ვინც არ მიაპყრო თავისი გულისყური უფლის სიტყვას, მინდორში დატოვა თავისი მონანი და თავისი სამწყსო.

22. უთხრა უფალმა მოშეს: ცისკენ გაიწოდე შენი ხელი და დაისეტყვება მთელი ეგვიპტის ქვეყანა, ადამიანი, პირუტყვი, მთელი მინდვირს ბალახი ეგვიპტის ქვეყანაში.

23. ცისკენ გაიწოდა მოშემ თავისი კვერთხი და გამოსცა უფალმა ხმები და სეტყვა. ცეცხლი ვიდოდა დედამიწაზე და აწვიმა სეტყვა უფალმა ეგვიპტის ქვეყნად.

24. იყო სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა სეტყვის წიაღში. ფრიად მძიმე იყო (სეტყვა), რომლის მსგავსი არ ყოფილა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, დროიდან ერად შექმნისა.

25. ყველაფერი მოსრა სეტყვამ მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, რაც კი მინდვრად დარჩა, ადამიანიდან პირუტყვამდე. მინდვრის მთელი ბალახი მოსრა სეტყვამ და მინდვრის ყოველი ხე დალეწა.

26. არ იყო სეტყვა მხოლოდ გოშენის მხარეში, სადაც ისრაელის ძენი იმყოფებოდნენ.

27. წარავლინა ფარომ (თავისი მორჩილნი), იხმო მოშე და აჰარონი და უთხრა: ამჯერად შევცოდე. უფალი მართალია. მე და ჩემი ხალხი — დამნაშავენი.

28. შეევედრეთ უფალს, შეწყდეს სეტყვა და ღვთიური ხმები, თქვენ გაგიშვებთ და მეტს აღარ დაყოვნდებით.

29. უთხრა მას მოშემ: ქალაქიდან გასვლისას ჩემს ნებებს გავშლი უფლისკენ, შეწყდება ხმები და აღარ იქნება სეტყვაც, რათა შეიტყო, რომ უფლისაა ეს ქვეყანა.

30. ვიცი, რომ ჯერ კიდევ არ შეუშინდებით უფალ ღმერთს შენ და შენი მსახურნი.

31. იგვემა სელი და ქერი, რამეთუ ქერი ამოთავდა და სელი ღეროში (ჰყვაოდა).

32. ხორბალი და ასლი არ იგვემა, რამეთუ ისინი საგვიანოა.

33. გავიდა მოშე ფაროსგან ქალაქგარეთ და თავისი ვნებები უფლისკენ გაშალა. შეწყდა ხმები და სეტყვა, მინაზე აღარ იღვრებოდა წვიმა.

34. იხილა ფარომ, რომ შეწყდა წვიმა, ხმებიც და სეტყვაც, და კვლავ შესცოდა. დაიმძიმეს გული მან და მისმა მორჩილებმა.

35. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ გაუშვა ძენი ისრაელისა, როგორც მოშეს მეშვეობით ჰქონდა ნალაპარაკები უფალს.

თავი მეათე

უფალმა უთხრა მოშეს: მიდი ფაროსთან, რამეთუ მისი გული და მისი მორჩილთა გული მე დავამძიმე, რათა ეს ჩემი ნიშნები მის წიაღში დამეფუძნებინა,

2. რომ გეამბნა შენი შვილისა და შენი შვილთაშვილის ყურადსაღებად, რასაც ვიქმოდი მე ეგვიპტეში და რა ნიშნებიც მოვუვლინე მათ, რომ გცოდნოდათ, რომ უფალი ვარ.

3. მივიდნენ მოშე და აჰარონი ფაროსთან და უთხრეს მას: ასე თქვაო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: როდემდის იუარებ ჩემს წინაშე დამორჩილებას? გაუშვი ჩემი ხალხი და მსახურობდეს მე.

4. თუ იუარებ ჩემი ხალხის გაშვებას, აჰა, შენს საზღვრებს ხვალვე მივუსევ კალიას.

5. დაფარავს მიწის თვალსაწიერს და შეუძლებელი იქნება ხილვა მიწისა. შთანთქავს გადარჩენილთა ნარჩენს, თქვენთვის დარჩენილს სიტყვიდან. შთანთქავს ყოველ ხეს, მინდვრად, რომელიც თქვენთვის იზრდება.

6. აავსებენ შენს სახლებს, შენს მსახურთა სახლებს და ყველა ეგვიპტელის სახლს, — რაც არ უხილავს შენს მამებს და შენი მამების მამებს იმ დღიდან, რაც არსებობენ დედამიწაზე. უკუიქცა (მოშე) და გავიდა ფაროსგან.

7. უთხრეს ფაროს მისმა მორჩილებმა: როდემდის იქნება ეს ჩვენს მახედ? გაუშვი ეს ხალხი და ემსახურონ უფალს, თავიანთ ღმერთს. ნუთუ ჯერაც არ უწყი, რომ ეგვიპტე იღუპება?

8. დააბრუნეს მოშე და აჰარონი ფაროსთან და უთხრა მათ (ფარომ): წადით, ემსახურეთ თქვენს უფალ ღმერთს. და ვინ წახვალთ?

9. უთხრა მოშემ: ჩვენი ჭაბუკებითა და მოხუცებითურთ წავალთ. ჩვენი ძმებითა და ასულებითურთ და ჩვენი ცხვარ-ძროხითურთ წავალთ, რამეთუ საუფლო დღესასწაული გვაქვს.

10. უთხრა მათ (ფარომ): ისე უფალი იყოს თქვენთან, როგორც მე თქვენი წვრილშვილითურთ გაგიშვათ, ხომ ხედავთ, თქვენს წინაშე ბოროტი (ზრახვაა).

11. ასე არა! მხოლოდ მამაკაცები წადით და ემსახურეთ უფალს, რამეთუ თქვენ ითხოვთ ამას. და გაყარეს ისინი ფაროსაგან.

12. უთხრა უფალმა მოშეს: გაიწოდე შენი ხელი ეგვიპტის ქვეყანაზე კალიის (გამოსახმობად) და შეესიოს ეგვიპტის ქვეყანას, შთანთქას ქვეყნის მთელი ბალახი, ყველაფერი, რაც კი დატოვა სეტყვამ.

13. და აღმართა თავისი კვერთხი მოშემ ეგვიპტის ქვეყანაზე და წარმოავლინა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად. (ქროდა ქარი) მთელს იმ დღესა და ღამეს. იქმნა დილა და მოზიდა აღმოსავლეთის ქარმა კალია.

14. შეესია კალია მთელს ეგვიპტის ქვეყანას და დაესვენა ფრიად მძიმედ ეგვიპტის მთლიან საზღვარზე. უწინ არ ყოფილა ასეთი კალია და ამისდაგვარი არც მას შემდეგ იქნება.

15. დაფარა მთელი მიწის თვალსაწიერი და დაბნელდა მიწა, შთანთქა ქვეყნის ყველა ბალახი და ხის ყველა ნაყოფი, რომელიც დატოვა სეტყვამ. არ შერჩენია სიმწვანე ხეს და მინდვრის ბალახს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

16. სასწრაფოდ იხმო ფარონ მოშე და აჰარონი და უთხრა: შევცოდე უფალს, თქვენს ღმერთს, და თქვენც.

17. და აწ, გენუკვი, ამჯერად მომიტევე ცოდვა. შეევედრეთ თქვენს უფალ ღმერთს და განაშოროს ჩემგან ეს სიკვდილი.

18. გამოვიდა (მოშე) ფაროსგან და შეევედრა უფალს.

19. შემოაქცია უფალმა ზღვის ფრიად ძლიერი ქარი, მოზიდა კალია და მეწამულ ზღვაში ჩაყარა. ერთი კალიაც არ დარჩენილა ეგვიპტის მთელ საზღვარზე.

20. გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს და არ გაუშვა ფარომ ძენი ისრაელსა.

21. უთხრა უფალმა მოშესს: ცისკენ გაიწოდე ხელი და იქნება წყვდიადი ეგვიპტის ქვეყნად. ხელშესახები წყვდიადი.

22. ცისკენ გაიწოდა თავისი ხელი მოშემ და იქმნა ნისლოვანი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყნად სამი დღე.

23. არ უხილავს კაცს თავისი ძმა, სამ დღეს არავინ არ ამდგარა თავისი ადგილიდან. ხოლო ისრაელის ძეებს სინათლე ჰქონდათ თავიანთ სადგომებში.

24. უხმო ფარომ მოშეს და უთხრა: წადით, ემსახურეთ უფალს, მხოლოდ თქვენი ცხვარ-ძროხა დარჩეს, წვრილშვილიც თან წაიყოლეთ.

25. უთხრა მოშემ: შენც მოგცემ სხვერპლებს და აღსავლენებს და შევწირავთ უფალს, ჩვენს ღმერთს.

26. და ჩვენი სამწყსოც წამოვა ჩვენთან, ჩლიქიც კი არ დარჩება, რამეთუ მისგან ავიღებთ ჩვენი უფალი ღმერთის სამსახურებელს, და ჩვენ არ ვიცით, რით ვემსახუროთ უფალს, სანამ იქ არ მივალთ.

27. გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს და არ ინება მათი გაშვება.

28. უთხრა მას ფარომ: წადი, გამშორდი! ფრთხილად იყავი, ჩემი სახე აღარ იხილო, რამეთუ იმ დღესვე მოკვდები, როდესაც იხილავ ჩემს სახეს.

29. უთხრა მოშემ: სწორად ლაპარაკობ. შენს სახეს აღარ ვიხილავ.

თავი მეთერთმეტე

უთხრა უფალმა მოშეს: კიდევ ერთ წყლულს მოვუვლენ ფაროს და ეგვიპტეს. ამის შემდგომ გაგიშვებთ აქედან (ფარო). არათუ გაგიშვებთ, არამედ გაყრით გაგყრით თქვენ აქედან.

2. ილაპარაკე, გენუკვი, ხალხის ყურადსაღებად და ითხოვოს კაცმა თავისი მეზობელი კაცისგან, ხოლო ქალმა თავისი მეზობელი ქალისგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი.

3. და მიაგო უფალმა ხალხის კეთილსახიერება ეგვიპტელთა თვალს. და ეს კაცი, მოშე, ფრიად განდიდდა ეგვიპტის ქვეყნად ფაროს მორჩილთა და ხალხის თვალში.

4. თქვა მოშემ: ასე თქვა უფალმა: შუაღამისას გამოვალ შუაგულ ეგვიპტეში.

5. და მოკვდინდება ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად: თავის ტახტზე მჯდომი ფაროს პირმშოდან მხევლის პირმშომდე, რომელიცაა დოლაბის უკან და ყოველი პირუტყვის პირველმოგებული.

6. და იქნება დიდი გოდება მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არც იქნება.

7. და ისრაელის ყველა ძესთან თავის ენას არ დაძრავს ძაღლი არც კაცისადმი, არც ქალისადმი, რათა იცოდეთ, რომ განასხვავებს უფალი ეგვიპტელსა და ისრაელს შორის.

8. ჩამოვლენ ჩემთან მთელი ეს შენი მორჩილნი და თაყვანს მცემენ, ამ თქმით: გადით, შენ და მთელი ხალხი, შენს ფეხთან მყოფი. და ამის შემდეგ გავალ. და გავიდა ფაროსგან (მოშე), განრისხებული.

9. უთხრა უფალმა მოშეს: არ მოგისმენთ თქვენ ფარო, რათა გამრავლდეს ჩემი სასწაულები ეგვიპტის ქვეყნად.

10. მოახდინეს მთელი ეს სასწაულები მოშემ და აჰარონმა ფაროს წინაშე, მაგრამ გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს და არ გაუშვა ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

თავი მეთორმეტე

და უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს ეგვიპტის ქვეყანაში, ამ თქმით:

2. ეს თვე იყოს თქვენთვის დასაბამი თვეებისა, პირველი (თვე) იყოს იგი თქვენთვის წყლის თვეთაგან.

3. ელაპარაკეთ მთელს ისრაელის თემს და უთხარით: ამ თვის მეათე დღეს მამისეულ სახლზე თითოეულმა კრავი აიყვანოს თავისთვის. კრავი სახლეულისთვის.

4. თუ სახლეული ისე მცირერიცხოვანია, რომ არ ძალუძთ ჭამა კრავისა, მაშინ თვითონ და მის სახლთან ახლომყოფმა მისმა მეზობელმა სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი, გაიანგარიშეთ, ვის რამდენის ჭამა ძალუძთ.

5. საღი, ამმრი, ერთწლოვანი უნდა იყოს კრავი. ცხვართაგან და თხათაგან აიყვანეთ.

6. და იყოს იგი თქვენთან დაცული ამ თვის მეთოთხმეტე დღემდე. მერე დაკლას ისრაელის თემის მთელმა კრებულმა საღამოხანს.

7. აიღონ მისი სისხლისგან და სცხონ იმ სახლის ორივე წირთხლსა და კადონს, სადაც შეჭამენ მას.

8. იმავე საღამოს შეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი. ხმიადებით და მწარე მწვანილეულთ შეჭამონ იგი.

9. ნუ შეჭამთ მისგან უმს ან წყალში მოხარშულს. ხოლო ცეცხლში შემწვარი ჭამეთ თავფეხიანა და მისი შიგნეულითურთ.

10. ნუ დატოვებთ მისგან დილამდე, და თუ მისგან დარჩა დილამდე — ცეცხლში დაწვით.

11. ასე ჭამეთ იგი: წელზე სარტყელი გერტყათ, ფეხზე გეცვათ და თქვენს ხელთ იყოს თქვენი ჯოხი. აჩქარებით ჭამეთ. საუფლო ფესახია იგი.

12. გარდმოვალ ამ ღამით ეგვიპტის ქვეყნად და გავგმირავ ყოველ პირმშოს ეგვიპტის მხარეში ადამიანიდან პირუტყვამდე, და ეგვიპტის ყველა ღმერთს განვსჯი. მე ვარ უფალი.

13. და სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც თქვენ იმყოფებით. ვიხილავ სისხლს და გვერდს აგივლით. არ იქნება თქვენში შემმუსვრელი სენი, რაჟამს ეგვიპტელთა ქვეყნის გვემას დავიწყებ.

14. მოსახსენებლად იყოს თქვენთვის ეს დღე, იდღესასწაულეთ იგი საუფლო დღესასწაულად თქვენს თაობებში. სამარადჟამო წესად იდღესასწაულეთ იგი.

15. შვიდ დღეს ჭამეთ ხმიადი. პირველი დღიდანვე აღკვეთეთ საფუარი თქვენს სახლეულთაგან, რამეთუ ყოველი სული, მჭამელი საუფლისა პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე, მოიკვეთება ისრაელიდან.

16. პირველ დღეს წმიდა შეკრებილობაა, მეშვიდე დღესაც წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. (ამ დღეებში) არა საქმე არ გაკეთდეს. რაც თითოეულს საჭმელად სჭირდება, მხოლოდ ის გაკეთდეს.

17. დაიცავით უფუარობა, რამეთუ თვით ამ დღეს გამოიყვანეთ თქვენი ლაშქრობები ეგვიპტის ქვეყნიდან. დაიცავით ეს დღე თქვენს თაობებში სამარადჟამო წესდებად.

18. პირველი თვის მეთოთხმეტე დღიდან, საღამოდან, ოცდამეერთე დღის საღამომდე ხმიადები ჭამეთ.

19. შვიდ დღეს არ იპოვებოდეს თქვენ სახლებში საფუარი, რამეთუ გაფუებულის ყოველი მჭამელი მოიკვეთება ისრაელის თემისგან — მდგმურია ის თუ მკვიდრი ქვეყნისა.

20. საფუარიანი არაფერი ჭამოთ ყოველ თქვენს სამყოფელში ხმიადები ჭამეთ.

21. უხმო მოშე მთელი ისრაელის უხუცესობას და უთხრა მათ: წამოასხით, წამოიყვანეთ ცხვარი თქვენთვის და თქვენი საგვარეულოთათვის და საფესახო მსხვერპლი.

22. აიღეთ უსუპის კონა, ამოავლეთ სისხლში, რომელიც ჯამშია და წააცხეთ (სისხლი) კადონსა და ორივე წირთხლს სისხლიანი ჯამიდან. და დილამდე თქვენიდან არავინ გავა თავისი სახლის კარიდან.

23. და გაივლის უფალი ეგვიპტის შესამუსრავად, სისხლს დაინახავს კადონზე და ორივე წირთხლზე და გვერდს აუვლის უფალი (თქვენს) კარს, დამღუპველს არ მისცემს შესვლის უფლებას თქვენს სახლებში (თქვენს) შესამუსრავად.

24. წესად დაიცავით ეს თქვენთვის და თქვენს ძეთათვის, სამარადჟამოდ.

25. და როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი მოგცემთ, როგორც (მან) ილაპარაკა, დაიცავით ეს მსახურება.

26. და თუ შეგეკითხებიან თქვენი ძმები: ეს რა მსახურებაა თქვენთვის?

27. ეტყვით: ფესახის მსხვერპლიაო უფლისადმი, რომელმაც გვერდი აუარა ისრაელის ძეთა სახლებს ეგვიპტეში, ოდეს მუსრავდა ეგვიპტეს, და იხსნა ჩვენი სახლები. მოიდრიკა ხალხი და თაყვანი სცა.

28. წავიდნენ ისრაელის ძენი და აღასრულეს. როგორც უბრძანა უფალმა მოშეს და აჰარონს, ისე აღასრულეს.

29. შუაღამისას უფალმა განგმირა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად, ტახტზე მჯდომი ფაროს პირმშოდან საპყრობილეში ტყვექმნილ პირმშომდე და პირუტყვის ყოველი პირველ მოგებული.

30. (ფეხზე) დადგნენ იმ ღამეს ფარო, მთელი მისი მორჩილნი და მთელი ეგვიპტე. შეიქმნა დიდი ღაღადი ეგვიპტეში, რამეთუ არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყვადათ.

31. იხმო (ფარომ) მოშე და აჰარონი ღამით და უთხრა: ადექით, გადით ჩემი ხალხისგან თქვენც და ისრაელის ძენიც, წადით, ემსახურეთ უფალს, თქვენი სიტყვისამებრ.

32. თქვენი ცხვარ-ძროხაც წაიყვანეთ, როგორც ამბობდით, წადით და მეც მაკურთხეთ.

33. აიძულეს ეგვიპტელებმა ხალხი, სწრაფლ გასულიყვნენ ქვეყნიდან, რამეთუ ამბობდნენ, ვკვდებითო ყველანი.

34. წაიღო ხალხმა თავისი ცომი სანამ გაფუვდებოდა. თავიანთი საფუარი გამოკრული ჰქონდათ თავიანთ სამოსელში და ზურგზე მოკიდებული.

35. მოშეს სიტყვისამებრ მოიქცნენ ისრაელის ძენი და ითხოვეს ეგვიპტელთაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელნი.

36. კეთილსახიერება უბოძა უფალმა ხალხს ეგვიპტელთა თვალში და მათაც ათხოვეს. და გაძარცვეს ეგვიპტე.

37. და გაემგზავრნენ ისრაელის ძენი რამსესიდან სუქოთისკენ, წვრილშვილის გარდა ექვსასი ათასამდე ფეხოსანი მამაკაცი.

38. თან გაჰყვა მათ უამრავი უცხოტომელი ბრბო და ცხვარ-ძროხა, სამწყსო ფრიად დიდი.

39. გამოაცხვეს ეგვიპტიდან გამოტანილი ცომი ხმიადთა კოკრებად, რამეთუ (ცომი) ვერ გაფუვდა, რამეთუ გამოყარეს ეგვიპტიდან და ვერ შეძლეს დაყოვნება. საგზალიც არ გაუმზადებიათ.

40. ოთხას ოცდაათ წელს მკვიდრობდნენ ისრაელის ძენი ეგვიპტეში.

41. დასრულდა ოთხას ოცდაათი წელი და თვით ამ დღეს გამოვიდნენ უფლის მთელი ლაშქრიონები ეგვიპტის ქვეყნიდან.

42. ეს ღამე საუფლო საგუშაგოა. ეგვიპტიდან მათი გამოყვანის გამო. თვით ეს ღამე საუფლო საგუშაგოა ისრაელის მთელ ძეთათვის მათ თაობებში.

43. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს: ესაა ფესახის წესდება: უცხოტომელმა არ უდნა ჭამოს იგი.

44. ვერცხლის ნაყიდმა ყოველმა მონამ, თუ წინადასცვეთ მას, ჭამოს.

45. ახლომოსახლემ დამოჯამაგირემ არ ჭამოს იგი.

46. ერთ სახლში უნდა შეიჭამოს. არ გაიტანოთ ეს ხორცი სახლიდან გარეთ და ძვალი არ დაამტვრიოთ.

47. ისრაელის მთელმა თემმა გააეკთოს ეს.

48. რომ მდგმურობდეს შენთან მდგმური და აღასრულოს საუფლო ფესახი, წინდაუცვითე მის ყოველ მამრს, და მაშინ შეუდგეს მის აღსრულებას და ქვეყნის მკვიდრად შეირაცხება. არავითარმა წინადაუცვეთელმა არ ჭამოს იგი.

49. ერთი მოძღვრება ექნეს მკვიდრსა და მდგმურს, თქევნს შორის რომ მდგმურობდეს.

50. აღასრულეს ისრაელის ძეებმა. როგორც უფალმა უბრძანა მოშეს და აჰარონს, ისე აღასრულეს.

51. თვით ამ დღეს გამოიყვანა უფალმა ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძენი მათი ლაშქრიონებითურთ.

ძვირფასო მეგობრებო!

მინდა სულითა და გულით მივულოცო საქართველოს ებრაულ თემს ჩვენი ერთ-ერთი დიდი დღესასწაულის — ფესახის დადგომა.

ძალზე სიმბოლურია, რომ ეგვიპტელთა მონობიდან ჩვენი ხალხის განთავისუფლების დღესასწაული ემთხვევა ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავს. აგადის სიტყვებში „მომავალ წელს განახლებულ იერუსალიმში“ რეალური გახდა — ჩვენს ხალხს აქვს ძლიერი, ღამაზი სახელმწიფო და იმედიანად შესცქერის მომავალს.

საქართველოს ებრაული თემი ყოველთვის გამოირჩეოდა ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულებით და ისრაელთან მტკიცე კავშირით. ისრაელში საფესახო სედერს საქართველოდან გამოსული ათასობით ადამიანი მიუჯდა. ყოველ მათგანს წონადი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებასა და გაძლიერებაში.

მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ებრაული სააგენტო საერთოდ, და კავკასიაში მისი წარმომადგენლობა კონკრეტულად, კვლავაც ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ებრაულ თემს, მის საგანმანათლებლო ორგანოებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლო ხანის გასაჭირიდან თემი კიდევ უფრო ძლიერი და შეკავშირებული გამოვა.

ყველას გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას, ერთობის ხაგ ფესახ სამეახ!

ბეშანა აბაა ბიერუშალაიმ!

გრიგორი გროდსკი
ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის
მეთაური სამხრეთ კავკასიაში

THE WORLD CONGRESS OF GEORGIAN JEWS (R.A)

הקונגרס העולמי של יהודי גאורגיה (ר"ע)

პატივცემულ ბ-ნ გურამ გათიაშვილს
კონგრესის თანათავმჯდომარეს

დამდეგი ფესახის წინ გვინდა მოგილოცოთ ეგვიპტის ტყვეობიდან ჩვენი ხალხის დახსნის დღესასწაული და გისურვოთ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს ჯანმრთელობა, ბედნიერება და კეთილდღეობა, ამასთან გვინდა განსაკუთრებული წარმატება გისურვოთ თქვენს თავდადებულ საქმიანობაში ჩვენი თემის სულიერი ცხოვრების გამდიდრებისა და გამტკიცების საქმეში.

გალუთში ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდში, საქართველოს ებრაელობამ თვალისჩინივით შეინახა ებრაული რწმენისა და ტრადიციებისადმი ერთგულება, ეს იყო დიდი დამსახურება ჩვენი დიდი რაბებისა და თალმიდ ხახმებისა, რომლებიც ყოველ თაობაში გამოდიოდნენ ჩვენი თემის წიაღიდან.

თქვენ, ჩვენს დღეებში ამ დიდი ადამიანთან საქმის ღირსეული გამგრძელებელი დღე და ღამე მოღვაწეობთ ჩვენი თემის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში, რათა ჩვენმა შვილებმა მომავალშიც გააგრძელონ ებრაელი ხალხის ტრადიციებისა და მოშეს რწმენისადმი ერთგულება.

ჩვენ თემის ცხოვრებაში თქვენს მიერ შეტანილი წვლილისადმი ჩვენი განსაკუთრებული პატივისცემის დასადასტურებლად, გვინდა მოგილოცოთ თავისუფლების დღესასწაული და გისურვოთ ქაშერი და მხიარული ფესახი!

გთხოვთ ქართველ-ებრაელთა კონგრესისა და მისი პრეზიდენტის სახელით თქვენს ჯამაათებს მიულოცოთ ბედნიერი და აშერი ფესახი და უსურვოთ მათ ყოველივე საუკეთესო.

მიშიკო მირილაშვილი
ქართველ ებრაელთა მსოფლიო
კონგრესის პრეზიდენტი

არონ ელაშვილი
კონგრესის დირექტორი

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი ერის განთავისუფლების დღესასწაულის, ფესახის დამდეგს, პატივისცემით და სიყვარულით გიგზავნით თქვენ და თქვენს ოჯახებს ქაშერი და სასიხარულო ზეიმის ტრადიციულ სურვილებს.

ფესახის სედერის ღამეს ებრაელები განსაკუთრებით საფუძვლიანად, ვიდრე ოდესმე, ფიქრობენ ეგვიპტიდან გამოსვლაზე და აგადა, გვიამბობს რა მონობისგან განთავისუფლების შესახებ, განამტკიცებს ამ ფიქრებს.

მაგრამ ამ ღამით, სადღესასწაულო სუფრასთან ვფიქრობთ და ვოცნებობთ აგრეთვე მომავალ ხსნაზე, რასაც დიდი გრძნობით გვიამბობს და გვახსენებს საზეიმო აგადა.

თალმუდი ამტკიცებს, რომ ცდაკა – ქველმოქმედება – აახლოვებს ხსნასა და განთავისუფლებას. “ყოველო, რომელსაც გშიოდეს, მოდი და დაპურდი. ყოველო უპოვარო, მოდი და დაიცავი ფესახი”. სედერზე გაჭირვებულთა მოწვევით ვასრულებთ მცნებას ცდაკაზე და ამით ვიახლოვებთ მომავალ განთავისუფლებას!

ეს დღესასწაული მეტად მნიშვნელოვანია ამჟამად, რადგან მრავალი ჩვენთაგანი დღესაც იმყოფება მცდარ წარმოდგენათა, ეფემერულ ფასეულობათა, უცხო კანონთა და ჩვეულებათა ტყვეობაში. ყოველივესგან განთავისუფლება არის საწყისი და დაბრუნება საკუთარ ხალხთან, საკუთარ რწმენასთან და ტრადიციებთან.

ხაგ ფესახ ქაშერ სამეახ!

მხიარულ და ქაშერ ფესახის დღესასწაულს გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!

"ჯოინთის" წარმომადგენელი საქართველოში სერგო ვლასოვი
თბილისის "ჯოინთის" კოლექტივი

ფესახი – ებრაელთა ერთ-ერთი ძირითადი დღესასწაულია. ამიტომაა, რომ თაობიდან თაობამდე ყოველი ებრაელი თავს ისე უნდა გრძნობდეს, თითქოს პირადად ის გამოიყვანეს ეგვიპტიდან.

იმისათვის, რომ ეს მოვალეობა შევასრულოთ ფესახის სედერის მსვლელობისას, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა შევიგრძნოთ მონობის დამამცირებელი და მტანჯველი სიმძიმე და თავისუფლების, მონობიდან გამოსვლის, სიხარული. აგადის რიტუალი სწორედ იმისათვისაა მოწოდებული, რომ გვაჩუქოს ასეთი უძვირფასესი და ამაღლებული განცდა. ეს ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, თუ რატომ ვუწოდებთ ყველაფერ ამას „სედერს“ (წესრიგს). მთელი საღამოს განმავლობაში ჩვენ ვასრულებთ მრავალ მოთხოვნასა და რიტუალს, რომელთაგან ერთნი დამონების, შევიწროების, ტანჯვის სიმბოლოებად მოგვევლინება, მეორენი – თავისუფლებად, ზოგიერთი კი – განასახიერებს ორივეს ერთად აღებულს.

იმისათვის, რომ სედერი ყველა წესის დაცვით წარვმართოთ, საჭიროა სათანადოდ მოვემზადოთ.

ფესახში ჩვენ უნდა მივირთვათ მხოლოდ მაცა, რომელიც ებრაელის თავმდაბლობის სიმბოლოა. ფესახის ღამე კი - თავმდაბლობის გამოხატვის მაგალითია. ყოველი ჩვენთაგანი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს საკუთარ ქცევებს, მთლიანად განთავისუფლდეს ნებისმიერი სახის მონობიდან, განიმტკიცოს ნებისყოფა. ყოველივე ამაში ჩვენ ძალიან გვეხმარება საფესახო აგადა და გაუფუებელი, ზეთის და სხვა არომატიზატორების გარეშე, ფქვილითა და წყლით მომზადებული საკვები – მაცა. ამ მცნების შესრულება როშ ჰაშანაში შოფარის მოსმენის მცნებას უტოლდება და გვანთავისუფლებს ან გვიმსუბუქებს მკაცრ სასჯელს. ამ მცნების შესრულებით ჩვენ ვპოვებთ სულიერ ამაღლებას და ჭეშმარიტ თავისუფლებას.

გისურვებთ ყველას ქაშერ და მხიარულ ფესახს ამ წელს აქ, მომავალ წელს იერუსალიმში.

საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის
შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი

იერუსალიმის ჯოინთის ხელმძღვანელს ბ-ნ აშერ ოსტრინს

ძვირფასო ბატონო აშერ ოსტრინ!

ნება მომეცით, მოგილოცოთ დამდეგი ფესახი და დაგისვათ რამდენიმე შეკითხვა. ეს შეკითხვები სრულებითაც არ ექცევა სადღესასწაულო კონტექსტში, მაგრამ ზოგჯერ არასასიამოვნო კითხვების დასმაც გვიწევს და ამ კითხვებზე პა-სუხის გაცემაც.

ვიდრე ამ შეკითხვებს დავსვამდე, მინდა ხაზი გავუსვა „ჯოინთის“ კეთილშო-ბილურ მისიას საქართველოში. ჩვენი ქვეყნის ებრაელ ლიდერებს (და არა მხოლოდ მათ!) კარგად ესმით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „ჯოინთის“ მისია. მინდა გავიხსენო საქართველოს მთავარი რაბინის არიელ ლევინის სიტყვები: „მას შემდეგ, რაც „ჯოინთმა“ თბილისში „ხესედ ელიაჰუ“ გახსნა, საქართველოში არც ერთი ებრაელი მოხუცი შიმშილით არ დაღუპულა“.

ეს ერთი მხარეა „ჯოინთის“ საქართველოში მოღვაწეობისა, არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც: ადამიანებს სულიერი ცხოვრება ისევე სჭირდებათ, როგორც პური. „ჯოინთი“ ამ მხრივაც ჩვენს გვერდით დგას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მაგრამ დღეს ჩვენს თემსა და „ჯოინთს“ შორის კრიზისული პერიოდია. ეს ძალიან არასასიამოვნოა. რომელიღაც ჩინოვნიკის გაუთვლელი, გაუთვალისწინებელი გადაწყვეტილების გამო ჩვენ ყველას ერთად გვიხდება ასევე გაუთვლელი, გაუთვალისწინებელი რეპლიკების მოსმენა.

მე იმედი მაქვს, ჩვენ ყველას გვეყოფა წინდახედულება და ძალა იმისათვის, რომ ეს კონფლიქტი გონივრულად დავამთავროთ და „ჯოინთი“ ისევე იმუშავებს ჩვენთან, როგორც წლების განმავლობაში მუშაობდა. ჩვენ ვიყავით პარტნიორები კეთილშობილურ საქმეში და ასევე უნდა დავრჩეთ.

ახლა კი რამდენიმე შეკითხვა, რომელიც კრიზისულმა სიტუაციამ წარმოშო და თუ ამ კრიზისულ სიტუაციაში საქართველოს ებრაული თემის რაიმე ბრალს დაინახავთ, მე გთხოვთ გაიხსენოთ, თუ როგორი ქვეყანა გახლდათ საქართველო თუნდაც ათი წლის წინათ, როგორი იყო ჩვენი სოციალური მდგომარეობა.

ასეთი მძიმე მდგომარეობიდან კი, მოგეხსენებათ, არცთუ იოლად გამოდიან.

1. საქართველოს ებრაელობა თბილისის ებრაული სათემო სახლის აგებამდეც სრუ-ლყოფილ ებრაელობად გრძნობდა თავს, ცხოვრობდა ებრაული ცხოვრებით და სხვა რესპუბლიკების ებრაულ თემებსაც კი უწევდა დახმარებას. დღეს კი ჩვენ მოტყუებულ ადამიანებად მივიჩნევთ თავს და აი, რატომ: ვიდრე სათემო სახლი შენდებოდა, ვიდრე იგი გაიხსნებოდა, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ დიდებული მოღვაწე ჰენრი პოზნერ IV თემს ჩუქნის სახლს, სადაც მას შესაძლებლობა ექნება განავითაროს თავისი ეროვნული სულისკვეთება.

რატომ ატყუებდნენ საქართველოს ებრაელობას?

2. მარტის ბოლო დეკადაში საქართველოს მოტყუებული ებრაელობა შეაძრწუნა ცნობამ იმის თაობაზე, რომ სახლი სასწრაფოდ, ევაკუაციის წესით უნდა დაი-ცალოს. თითქოს საკმარისი არ იყო ის, რომ ჩვენ მოგვატყუეს, ახლა შეურაცხყო-ფაც მოგვაყენეს – ებრაული სახლიდან ებრაელობის ასე ნაჩქარევად, ევაკუაციის წესით გამოყრა დასტურია იმისა, რომ – საქართველოს ებრაულ თემს უუფლებო თემად მიიჩნევენ და მას შეიძლება მოექცე ისე, როგორც ჩვენთვის ძალიან საპატივცემულო ორგანიზაციის -- „ჯოინთის“ ამა თუ იმ ჩინოვნიკს მოესურვება.

როგორ ახსნიდით საქართველოს ებრაული თემისადმი ასეთ დამოკიდებულებას?

3. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყველაფერი ეს გამოწვეული გახლავთ საქართველოს ებრაული თემისავე უშიშროების დაცვის მიზნით. საქართველოს ებრაული თემი არ იზიარებს შემოთავაზებულ თეზას. უფრო მეტიც——იგი თითიდან გამოწოვილად მიაჩნია და აი, რატომ:

ა) თბილისის ებრაული სახლი ერთადერთი ადგილი არ არის, სადაც ებრაელობა იყრის თავს. უფრო მეტი ხალხი იყრის თავს თბილისის ბეით-ქნესეთში, ასევე ქუთაისის, გორის, თუ სხვა ხესედებში ერთად აღებული.

ბ) თუ ეს აქცია უშიშროების დაცვის მიზნით ტარდება, ამის თაობაზე რატომ არაფერს გვეუბნება უშიშროების ადგილობრივი ორგანოები – ისინი ხომ გაცილებით

საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

მეტ ინფორმაციას ფლობენ სახელმწიფოში არსებულ სიტუაციაზე, ვიდრე „ჯოინთის“ უშიშროების სფეროს მუშაკები?

4. თბილისის ებრაული სათემო სახლიდან ებრაელობის თითქმის ევაკუაცია არყევს საქართველოს მოსახლეობის, მისი ინტელიგენციის რწმენას ებრაელობისადმი, ჯოინთისადმი. რა უფრო მძიმე ასატანია: ტერორისტული აქტი, თუ ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც არა მხოლოდ თემისადმია რწმენა შერყეული, არამედ თემისა და ჯოინთის (ჯოინთი კი მსოფლიოს ებრაელობის რანგში განიხილება) ურთიერთობისადმიც – ამ თემისა არ სწამს მსოფლიოს ებრაელობას, ამ თემს პატივს არ სცემს საერთაშორისო ებრაული ორგანიზაცია, სახლიდანაც კი ასახლებს, ე.ი. ეს არის უღირსი თემი. ეს კი ასე არ არის—საქართველოს ებრაული თემი პატივისცემას იმსახურებდა და იმსახურებს.

რატომ, რის გამო შეიცვალა ჯოინთის დამოკიდებულება საქართველოს ებრაელობისადმი?

5. ჩემთვის ჯერ კიდევ იანვარში გახდა ცნობილი, რომ ჯოინთს აქვს კომერციული გეგმები თბილისის ებრაული სახლის მიმართ, ხოლო 19 იანვარს, როცა ჩვენ ჯოინთის ახალი წარმომადგენელი ქ-ნი ირინა ლიპსკი წარმოგვიდგინეს, მე გავაკეთე განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ებრაელობა არაფრით არ შეურიგდება ამ სახლში თემის შევიწროებას.

ხალხი, ებრაელობა ამ სახლში არა მხოლოდ შეავიწროვეს, საერთოდ გამოჰყარეს.

დღეს თბილისის ებრაულ თემში ზოგიერთი წევრი აცხადებს:

ა) მოვაწყოთ საპროტესტო დემონსტრაციები ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით,

ბ) მივმართოთ სასამართლოს, რათა ებრაული სახლი გადავიდეს საქართველოს ებრაელობის გამგებლობაში.

გ) ჯოინთი გავაძევოთ საქართველოდან.

ჩვენ არც ერთი უნდა დავუშვათ და არც— მეორე და არც მესამე.

რამდენად მისაღები იქნებოდა თქვენთვის ასეთი პროექტი: თბილისის ებრაული სახლი იხსნება, მუშაობს ჩვეულ რეჟიმში, პარალელურად თემი იწყებს ფინანსური მხარდაჭერის ძიებას, რათა „ჯოინთთან“ ერთად გაინაწილოს პროგრამების დაფინანსების ტვირთი.

მე მესმის, რომ ასეთი მხარდამჭერის პოვნა არ არის იოლი, რომ ამას დრო დასჭირდება. დაუჭერდით თუ არა მხარს ასეთ იდეას?

ბატონო აშერ, გთხოვთ დასმულ შეკითხვებზე რედაქციას პასუხი მოაწოდოთ 15 აპრილამდე, რადგან გაზეთი უნდა გამოვიდეს ფესახის წინა დღეებში.

პატივისცემით: გურამ ბათიაშვილი
გაზეთ „მენორას“ რედაქტორი,
9 აპრილი, 2008 წელი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„საელჩო და თემის“ თაობაზე

„მენორას“ სარედაქციო კორესპონდენციაში „საელჩო და თემი“ („მენორა“ #7, 1-15 აპრილი) საუბარია იმ ღონისძიებათაგან ერთ-ერთზე, რომელსაც ატარებს ისრაელის საელჩო საქართველოში (აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ პუბლიკაციაში პირველი სვეტის მეათე სტრიქონის (ზემოდან) პირველი სიტყვა უნდა იკითხებოდეს **ელჩმა** და არა მერმა) ატარებს წარმატებულად ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

კორესპონდენციაში არ დავაკონკრეტეთ, თუ ვინ შემოიტანა საელჩოში ურთიერთობის არაეთიკური ფორმა. ამან კი ზოგიერთს საშუალება მისცა, მისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციის გავრცელებისა და ამით „მენორას“ საწინააღმდეგო კამპანიის აგორებისა. დაკონკრეტებისაგან ამჯერადაც თავს შევიკავებთ. ამ განცხადების მიზანი სულ სხვა რამ გახლავთ: საელჩოს შენობაში ამგვარი ატმოსფეროს შექმნაში **არა-რა წვლილი არ მიუძღვით კორესპონდენციაში მოხსენიებულ ორატორებს. მითუმეტეს, ბრალგარეშეა ისრაელის ელჩი ეს არასასურველი შეფასება ეხება ერთადერთ ადამიანს** — კორესპონდენციის ბოლო წინადადება („დამაფიქრებელია, რომ საელჩოს შენობაში ქუჩური ინტონაციები ისმის“) ყურადღებას ამახვილებს კამათის, საკითხის განხილვის კულტურაზე და **არ ისახავს მიზნად საელჩოს კრიტიკას**. დაინტერესებული პირები კი სწორედ ასეთ ხმებს ავრცელებენ და საკითხს ისე განიხილავენ, რომ რედაქციას არც იწვევენ!

ისრაელის ელჩი, საელჩოში სიტყვით გამოსული ორატორები იყვნენ და დარჩებიან „მენორას“ ავტორებად, რესპოდენტებად და რაოდენიც არ უნდა იხმაურონ დაინტერესებულმა პირებმა, „მენორას“ ვერ შეუქმნიან თემის საწინააღმდეგო ინტერესების გაზეთის იმიჯს და ვერც უაზრო კინკლაობაში ჩაითრევენ.

„მენორას“ რედაქცია

ბატონ აშერ ოსტრინის წერილი

2008 წლის 15 აპრილი
ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენთვის ცნობილია იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც თქვენ გაქვთ ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთის“ (JDC) შენობის ბედთან დაკავშირებით, რომელიც შესყიდული იქნა და განახლდა თბილისის ებრაელთა საზოგადოებისთვის რამდენიმე წლის წინ. როგორც თქვენთვის ცნობილია JDC ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობს თბილისის ებრაულ საზოგადოებასთან. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენ გავხსენით წარმომადგენლობა საქართველოში, და იმ მომენტიდან მნიშვნელოვანი რესურსებით ვეხმარებით საზოგადოებას. გასული 15 წლის განმავლობაში JDC-მ უზრუნველყო რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის დახმარება ქართველი ებრაელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ შევქმენით მრავალმხრივი მატერიალური დახმარების სისტემა, რომელსაც უძღვებიან თქვენი საზოგადოების წევრები იმ ასაკოვანი ადამიანების დასახმარებლად, რომლებსაც თვითონ არ გააჩნიათ საარსებო წყარო. მთელ საქართველოში, სადაც კი არსებობს გაჭირვებული ასაკოვანი ებრაელი, JDC-ს მომზადებული სპეციალისტები დაეხმარნენ დღის ცენტრებს, გაუგზავნეს თანხები საკვების, მედიკამენტების საყიდლად, გადაუხადეს ბინაზე მოვლის თანხა და სხვა.

ჩვენ ასევე დავასპონსორეთ მრავალმხრივი პროგრამები ებრაელთა ოჯახების დასახმარებლად, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი შვილების დახმარება და მათთვის სათანადო კვების უზრუნველყოფა.

ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ „ჰილელის“ შექმნის დროს, რათა დავხმარებოდით საუნივერსიტეტო ასაკის სტუდენტებს ესწავლათ და იმავდროულად მიეღოთ ებრაული ცხოვრების გამოცდილება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გარდა იყო ჩვენს მიერ დასპონსორებული კიდევ რამდენიმე პროგრამა, მას შემდეგ რაც საზოგადოებამ გაგვაცნო რამდენიმე თავისი მოთხოვნა. როცა საზოგადოებას დასჭირდა კიდევ ერთი „შოხეთი“, JDC-მ გადაიხადა მისი ტრენინგის საფასური და ხელფასი. ჩვენ შევაკეთეთ რამდენიმე სინაგოგა, როცა ამის საჭიროება იყო.

ყველა ჩვენი მცდელობა დაგვირგვინდა იმ შენობის შესყიდვით და რეკონსტრუქციით, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოებას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ებრაელები ხშირად ტერორიზმის სამიზნეები ხდებიან. ყველა ჩვენგანმა ეს კარგად იცის და ბევრ ჩვენგანს ამასთან შეხება პირადად არ უწევს იმ მეგობრებისა და კოლეგების დამშვიდება, რომლებიც მოექცნენ ამგვარი ტერორის ქვეშ.

უსაფრთხოების მიზნით ჩვენ მოგვიხდა უპრეცენდენტო ღონისძიების განხორციელება — თბილისის ცენტრში ჩვენს მფლობელობაში არსებული შენობის ევაკუაცია, რომელზეც პასუხისმგებელი ვართ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გაითვალისწინებთ ჩვენს თხოვნას, რომ დეტალურად არ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გესმით რომ ორგანიზაცია, რომელმაც ამდენი გააკეთა საქართველოს ებრაელობისთვის არ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, თუკი ეს არ იქნებოდა ყველა იმ ადამიანის ინტერესებში, რომელსაც ეს ეხება. ჩვენ ავუხსენით მდგომარეობა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შენობასთან დაკავშირებით.

რადგან ჩვენ კიდევ ვაპირებთ გარემოებების გამოძიებას, ჩვენ ვეძებთ დროებით ალტერნატივას, რომლის საშუალებითაც განვახორციელებთ საზოგადოების საქმიანობას. მე ვიცი, რომ თქვენ იზიარებთ ჩემს მოსაზრებას, რომ საზოგადოების ყველაზე გაჭირვებულებისთვის აუცილებელი მომსახურებები გაგრძელდეს უწყვეტად, მაშინაც კი, თუ შენობა უნდა დაიცალოს ასე სწრაფად.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იქნება რაიმე ალტერნატიული შენობა უახლოეს მომავალში, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს სანამ ჩვენს მფლობელობაში არსებულ შენობასთანაა დაკავშირებული საკითხი გაირკვევა.

ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ საზოგადოებასთან დაკავშირებით მრავალი წლის განმავლობაში JDC-ს არსებული ჩანაწერი არის ქართველ ებრაელთან ჩვენი დამოკიდებულების დადასტურება, რომელი დამოკიდებულებაც უნდა გაგრძელდეს.

საუკეთესო სურვილები: ჰაგ ფესახ ქაშერ ვესამეახ
ბივრაჰა (ხელმოწერა)
აშერ ოსტრინი
JDC/FS-ს დირექტორი
ასლები: სტენლი აბრამოვიჩს
სერგეი ვლასოვს

სოლიდარობის აქცია

16 აპრილს თბილისის დიდ ბეით ქნესეთში გაიმართა თბილისის ებრაულ სათემო სახლთან სოლიდარობის აქცია, რომელიც გახსნა მორწმუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარემ შალვა ქოსაშვილმა. თბილისის ებრაული სათემო სახლის ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე ისაუბრეს გ. პაატაშვილმა, ჯ. ხუხაშვილმა, მ. ზიზოვმა, საქართველოს დიასპორის მინისტრის მოადგილემ თ. მახარაშვილმა, გ. ღამბაშიძემ, ს. იოსებაშვილმა, შ. თეთრუაშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ფ. კოჩობაშვილმა, დ. დავითაშვილმა, ზ. დავარაშვილმა, ა. ლევინმა, რ. შათაშვილმა.

გამოიკვეთა გარემოება:

ა) როგორ, რატომ მოხდა, რა სამართლებრივი პრინციპი დაედო საფუძვლად იმას, რომ სახლი, რომელიც მისმა ამგებმა ჰენრი პოზნერ IV აჩუქა თბილისის ებრაულ თემს, აღმოჩნდა „ჯოინთის“ ბალანსზე.

ბ) „ჯოინთს“ მიეცა წინადადება 1 მაისამდე დაუბრუნოს სახლი თბილისის ებრაულ მოსახლეობას. თუ ეს არ მოხდება, 4 მაისს, 12 საათზე ხალხი თავად შევა ამ სახლში.

ჯ. ხუხაშვილის ამ წინადადებას დამსწრეთა უმრავლესობა ტაშით შეეგება.

გ) ამაღელვებელი გახლდათ თ. მახარაშვილის განცხადება:

— თუ სახლისადმი ფინანსურ დახმარებაზე მიდგება საქმე, მეც შევიტან ჩემს წვლილს მის ფინანსურ გაძლიერებაში — ებრაულ სახლში ვკითხულობ ლექციებს, ჩემს ხელფასს — 100 ლარს ყოველთვიურად ვწირავ ებრაულ სახლს.

თავის ბიზნესიდან შემოსავლის გარკვეული წილის ებრაული სახლისადმი გადაცემა აღუთქვა კრებას მ. ზიზოვმა.

დ) გამოითქვა უკმაყოფილება „ჯოინთის“ იერუსალიმის განყოფილების ხელმძღვანელის ს. ოსტრინის წერილის გამო.

ქართველი ებრაელების დიდი დღესასწაული მოსკოვთან ახლოს

6 აპრილს მოსკოვიდან 40 კილომეტრით დაშორებულ დაბაში განლაგებულ დიდ იეშიბაში „თორათ ხაიმში“ სასიხარულო განწყობა სუფევდა. აქ გაიმართა იეშიბისათვის თორის მირთმევის ცერემონიალი. იეშიბას სეფერ-თორა მიართვა მოსკოველმა ბიზნესმენმა აბრამ ხაიმ მიხელაშვილმა. დიახ, იგი ბიზნესმენია, მაგრამ მისთვის მთავარი იუდაიზმის სამსახური, თორის შესწავლაა.

ამ დღესასწაულს თბილისიდან ჩასული რამდენიმე ადამიანი დაესწრო. მათ შორის გახლდათ თბილისის დიდი ბეით-ქნესეთის ხაზანი, ახალგაზრდა და მზარდი სასულიერო მოღვაწე დავით აზიზოვი.

„მენორას“ კორესპონდენტმა სწორედ დავით აზიზოვს სთხოვა შთაბეჭდილების გაზიარება.

— დიახ, ვიყავით იეშიბა „თორათ ხაიმში,“ რომელიც მდებარეობს მოსკოვიდან 40 კილომეტრის დაშორებით. ეს არის დიდი კომპლექსი. როგორც მითხრეს, ერთ დროს აქ ყოფილა სანატორიუმი. შემდეგ ეს შენობა შეისყიდა და მასში განთავსდა იეშიბა „თორათ ხაიმი“. მისი დაარსების სათავეში დგას რაბი იცხაკ ზილბერგი და მოშე სოლოვეიჩიკი. ეს იეშიბა რუსეთის მასშტაბით ყველაზე დიდი იეშიბა გახლავთ. აქ შეისწავლიან ებრაულ წეს-ადათებს, ტრადიციას, გაღრმავებულად იღებენ თორის ცოდნას, თორის წესებს. აქ ყოველდღიურად ტარდება გაკვეთილები, მთელი დღის განმავლობაში არ წყდება სწავლა. იეშიბაში ჩემი ჩასვლის მიზეზი გახლდათ ის რომ, თბილისელმა, აქ, ჩვენს შორის აღზრდილმა აბრამ-ხაიმ მიხელაშვილმა იეშიბას მიართვა სეფერ-თორა. ბიზნესმენი აბრამ ხაიმ მიხელაშვილი ამ იეშიბაში ატარებს ცხოვრების გარკვეულ ნაწილს — აქ სწავლობს. სწორედ მან მოაწყო ძალიან დიდი ზეიმი სეფერ-თორის შებრძანებასთან დაკავშირებით. იერუსალიმიდან მოწვეული იყო ძალიან ბევრი რაბინი, მათ შორის, ერთ-ერთი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, მოშე შაპინო, რომელიც ებრაულ რელიგიურ სამყაროში ძალიან ცნობილია თავისი ცოდნით, პიროვნული ღირსებებით. როდესაც იეშიბის მოსწავლეებმა გაიგეს რაბინები ჩამოდიან და მათ შორის შაპიროც იქნებაო, გაოცებულები და გაოგნებულები იყვნენ სიხარულით — მათ მიეცათ საშუალება პირადად შეხვედროდნენ მოშე შაპიროს და მასთან ერთად ესწავლათ თორა. ჩვენ მოსკოვში ჩავედით პარასკევ დღეს. საღამოს იეშიბაში გაიმართა ძალიან ლამაზი ლოცვა. იეშიბაში შიგნით ძალიან დიდი ლოცვაა გაკეთებული. როგორც მითხრეს, ბეით-ქნესეთი ერთი წლის წინ გაუკეთებიათ, მანამდეც ჰქონდათ სალოცავი, მაგრამ ის უფრო პატარა ფართის იყო.

პარასკევ საღამოს აღავლინეს ლოცვა, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 200 კაცი. შემდეგ გაიმართა სეუდა. სეუდაზე სიტყვები წარმოთქვეს დიდმა რაბინებმა, იყო საინტერესო „დიბრეი თორა,“ რომელიც ნიშნავს საუბარს თორაზე. საუბრობდნენ ებრაული თორის ამა თუ იმ გარკვეულ წესზე, ეპიზოდზე. რაბინებმა ისაუბრეს ფარაშა შაუვაის თაობაზე. ასე ეწოდება საკვირაო საკითხავ თავს ივრითულად. ეს იყო ძალიან საინტერესო საუბარი. სხვათა შორის, მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას და აღვნიშნო, თუ რამდენად წესრიგია და როგორ იცის ყველამ ივრითულის ფასი, მაგალითად იქ იყო ორასი ადამიანი, მაგრამ როგორც კი რაბინი ადგა და როგორც კი დაიწყო დიბრეი თორა, თითქოსდა იქ ერთი კაცი მჯდარიყოს. როგორც ერთი კაცი იქნება უხმოდ, ასევე იყო ორასი კაცი გაჩუმებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან აქვთ რაბინების პატივისცემა და მორიდება, რაც შეეხება შაბათ დღეს, გაიმართა „სიოპტა“ ჩვეულებრივად, ითქვა ლოცვა. დღის განმავლობაში იყო ლექციები, თორის საკითხებზე და კვირა დღეს ნაშუადღევს შემობრძანდა სეფერ-თორა. ესე იგი სეფერ-თორის შემობრძანების ღონისძიება გაიმართა კვირა დღეს. შუადღისას იეშიბაში მოვიდნენ ისრაელიდან მოწვეული სტუმრები, როგორც მოგახსენეთ, რაბინები. ასევე იყვნენ მოწვეული სტუმრები მოსკოვიდან, ნათესავები, ახლობლები თბილისიდან, მოსკოვში მცხოვრები ქართველი ებრაელები. ამ ღონისძიებას ესწრებოდა დაახლოებით 400 კაცი. მე ვერ აღვწერ იმ სიხარულს და განცდებს, რაც ვნახე იქ. იეშიბას სეფერ-თორა რომ მიართვეს ეს იყო ძალიან დიდი სიხარული. რატომ მაინც და მაინც იეშიბას, მათ კი ჰქონდათ 2 სეფერ-თორა, მაგრამ როგორც მე დავაკვირდი, ეს იყო შედარებით ძველი, შეიძლება ვცდები კიდეც ასე რომ აბრამ-ხაიმმა მიართვა თავის მხრიდან სეფერ-თორა და ამან გამოიწვია ძალიან დიდი სიხარული. ძალიან დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს აბრამ ხაიმის მამა რობერტ მიხელაშვილი, რომლისთვისაც სიამაყე იყო შვილის ასეთი საქციელი და ასევე — დედა. მინდა გითხრათ, თუ როგორ ცხოვრობენ იქ. იეშიბაში ძალიან კარგი პირობებია სხვათა შორის. მე ერთ-ერთ რაბინთან საუბრისას მოვისმინე ერთი მნიშვნელოვანი რამ: ცოდნა, რომელსაც ამ იეშიბაში იღებენ წლის განმავლობაში, იგი უტოლდება ისრაელში დაახლოებით 3 წლის განმავლობაში მიღებულ ცოდნას, როდესაც სწავლობ იეშიბაში „თორათ ხაიმში“ იღებ ძალიან ძლიერ ცოდნას, რადგან ძალიან მკაცრად და ღრმად ასწავლიან ყველაფერს. იეშიბიდან გამოსული მოსწავლეები, ძალიან ბევრნი, ცნობილი რაბინი გახდა. იეშიბაში ძალიან კარგი პირობებია, ახლა კიდევ არემონტებენ. ნაწილობრივ რაღაც ეტაპებს მიაღწიეს და ახლა იწყება მთლიანად იეშიბის გარემონტება, რომელიც არის ძალიან დიდი. მე, სამწუხაროდ, ზუსტად არ შემიძლია გითხრათ თუ რამდენი ბავშვი სწავლობს იეშიბაში, როგორც მითხრეს, ჩვეულებრივ დღეებში ამ შენობაში ყველა ოთახი სავსეა ახალგაზრდებით. როგორც გითხარით, იეშიბა მოსკოვიდან დაშორებულია, ამიტომ მოზრდილები იქ პარასკევს ჩადიან, შაბათს თორის წიაღში ატარებენ და კვირას ბრუნდებიან სახლებში. არიან ბავშვები, რომლებიც კვირის განმავლობაში იქ რჩებიან, იქ არის ამის საშუალება, არის ოთახები, საძინებელი — ძალიან კარგი ოთახები და რომელი ოთახიც არ არის გარემონტებული, იმასაც არემონტებენ, ანუ ბავშვებს უქმნიან იდეალურ პირობებს იმისათვის, რომ კარგად ისწავლონ. როგორც ისრაელიდან და მოსკოვიდან ასევე საქართველოდანაც იყვნენ სტუმრები, ეს რაც მე ვიცი და არ არის გამორიცხული, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც ყოფილიყვნენ ჩამოსულები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო და ძნელი გახლდათ ყველას გამორჩევა.

მე ძალიან მოხარული ვარ, რომ დავესწარი ამ ღონისძიებას და მომეცა იქ ჩასვლის საშუალება. ეს არის დიდი მიცვა, როცა ადამიანი სეფერ-თორის შემობრძანებას ესწრება. მე მოხარული ვარ იმით, რომ მომეცა საშუალება დიდებული რაბინების ლექციებს დავსწრებოდი, მომესმინა და მესწავლა თორა მათთან ერთად. მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აბრამ ხაიმს, ვინც მე მიმიპატიჟა, მომცა საშუალება დავსწრებოდი ამ შესანიშნავ ღონისძიებას და მასთან ერთად გამეზიარებინა ეს სიხარული. მე მინდა ყველა ებრაელს ვუსურვო წარმატება, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მივოლოცო დამდეგი ფესახი. ბედნიერ ფესახს დაგვასწროს ღმერთმა. ფესახი არის ის დღესასწაული, როცა გამჩენმა ღმერთმა გამოიყვანა ისრაელის შვილები ეგვიპტიდან, გალუთიდან. გამჩენმა ღმერთმა მომავალში მოგვასწროს, რომ საბოლოოდ ვყოფილიყოთ გალუთიდან გამოსულები. მინდა ვუსურვო ყველას ბედნიერი ფესახი.

P.S. მე მინდა თვითონ აბრამ ხაიმზე გითხრათ, რომ ის არის დიდი პიროვნება, ძალიან საყვარელი ადამიანია ყველასთვის, თავმდაბალი. ეს არის ადამიანი, რომელიც აკეთებს ძალიან ბევრ სამადლო საქმეს, ძალიან ბევრ სიკეთეს. მე მინდა დავლოცო ის თავის ოჯახთან ერთად, რა სიკეთესაც აკეთებს გამჩენმა ღმერთმა დაუფასოს და კიდევ მრავალი სიკეთის მკეთებელ ადამიანად ამყოფოს ღმერთმა. ღმერთმა 120 წლამდე დაამადლიანოს, რომ ბევრი გააკეთოს თავის ხალხისთვის.

აბრამ ხაიმ მიხელაშვილი, ალბათ, უნა გახდეს მაგალითი ყოველი ახალგაზრდისათვის — იგი სიჭაბუკეში არ იყო თორით გატაცებული, შეიძლება ისიც ითქვას, რომ არაებრაული ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა თორით დაინტერესდა, მისი სიღრმე დაინახა, გაიტაცა რელიგიამ. ამ გატაცებას იგი უთავსებს დიდ ბიზნესს. აბრამ ხაიმმა სეუდაზე წარმოთქვა სუტყვა, რომელშიც ისაუბრა თორის სიდიადეზე, ილაპარაკა იეშიბას დაბრუნების მადლზე და აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე დიდმა რაბიმ — იცხაკ ზილბერგმა. მე ისიც მინდა ჩვენს ჯამაათს ვაუწყო, რომ მოსკოვის ქართველი ებრაელობა გამჩენის შეწევნით დღითიდღე ძლიერდება. მოსკოვის ქართველი ებრაელობა წელიწადში 6-7 სეფერ-თორას მაინც ჩუქნის მოსკოვის ბეით-ქნესეთებს. ეს კი მათ დიდ სიკეთეზე მეტყველებს.

PUBLIC RELATIONS & MEDIA DEPARTMENT
Euro-Asian Jewish Congress (EAJC) | Евро-Азиатский Еврейский Конгресс (ЕАЕК)
ДЕПАРТАМЕНТ ПО СВЯЗИМ С ОБЩЕСТВЕННОСТЬЮ И СМИ

ევრ-აზიის კონგრესი გვაუწყებინებს:

„რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი და ისლამის პრობლემები“

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა მიხეილ ჩლენოვმა და გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ იოსებ ზისელსმა მონაწილეობა მიიღეს ექსპერტთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. კონფერენცია გაიმართა იერუსალიმში და განიხილავდა თემას: „რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი, ისლამის პრობლემები.“

კონფერენციის მიზანი გახლდათ ისრაელისა და რუსეთის პოლიტიკის, პოლიტიკური ისლამის და უშიშროების საკითხთა საერთაშორისო კვლევის სპეციალისტთა გაერთიანება, ასევე რუსეთის, ისრაელის და აშშ-ს პრაქტიკოს სპეციალისტთა მოზიდვა.

კონფერენციის ორგანიზატორები გახლდნენ ისრაელსა და უკრაინაში ყოფილი ელჩი ცვი მაგენი და ნათან შარანსკი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ამოს გილადი, იგორ ივანოვი, ევგენი სატინოვსკი, ალექსეი მალაშჩენკო, ტატიანა კარასოვა, ანდრე ფედერჩენკო, ვლადიმერ (ზეევ) ხანინი, რუსეთის, ისრაელის და ამერიკის ექსპერტები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის ოპოზიციის ლიდერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

აშშ ებრაული კომიტეტის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვს ჩავიდა აშშ ებრაელთა კომიტეტის დელეგაცია დევიდ ჰარისის მეთაურობით. დელეგაცია მოსკოვში შეხვდა ებრაული ორგანიზაციების ლიდერებს და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლებს

ევრ-აზიის ებრაელთა კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პროფ. მიხეილ ჩლენოვმა დელეგაციის საპატივცემლოდ გამართა სადილი, რომელზეც რუსეთის, მოსკოვის ებრაელთა ორგანიზაციების გარდა ესწრებოდნენ ჰოლანდიური ჰუმანიტარული ფონდის წარმომადგენლები. ეს ფონდი აქტიურად მუშაობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რამდენიმე წელიწადია მიხეილ ჩლენოვი ამ ფონდის ექსპერტთა საბჭოს წევრია.

დევიდ ჰარისმა შეკრებილთ უამბო აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში მოგზაურობის თაობაზე, დაწვრილებით ისაუბრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. ლავროვთან შეხვედრაზე. ხაზი გაუსვა იმას, რომ ეაეკ-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები კარგ ტრადიციად იქცა და სასიკეთო ნაყოფის მომცემია.

შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები მიმდინარე საკითხებზე, განსაზღვრეს თანამშრომლობის მიმართულება. აშშ ებრაელთა კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა სემ კლიგერმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია დსთ-ს ქვეყნებში გაიხსნას დსთ-ის ახალი წარმომადგენლობა.

კონგრესიდან გასვლა

რუსეთის ებრაელთა კონგრესმა დატოვა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დამფუძნებელთა შემადგენლობა. წერილში, რომელიც ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესმა მიიღო, ნათქვამია: ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ევროპის ებრაელთა კონგრესმა 10 თებერვალს მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ღაღადებს: ევროპის ებრაელთა კონგრესში (ეეკ) შემავალი ეროვნული სტრუქტურები არ შეიძლება ამავდროულად გაერთიანებული იყვნენ მსოფლიოს ებრაულ კონგრესში შემავალ სხვა რეგიონალურ ებრაულ გაერთიანებებში.“

წერილში ხაზგასმულია, რომ ეეკ-ის წევრი რუსეთის ებრაულმა კონგრესმა ცხოვრებაში უნდა განახორციელოს ეეკ-ის კონსტიტუცია. გავდივართ რა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დამფუძნებელთა შემადგენლობიდან, სურვილი გვაქვს განვავითაროთ ეაეკ-ის მეგობრული კავშირი და ნებისმიერ პროექტში თანამშრომლობა.

რეკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

ამას წინათ „პოკლოკნაია გორას“ მემორიალურ ბეით-ქნესეთში გაიმართა რუსეთის ებრაული კონგრესის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომა მიჰყავდა რეკ-ის პრეზიდენტს ვიაჩესლავ კანტორს.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანეს: რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი, ფონდ „ჰოლოკოსტის“ პრეზიდენტი ალა გერბერი, საზოგადოებრივი პალატის წევრი, ადამიანის უფლებათა მოსკოვის ბიუროს წევრი ალექსანდრე ბჩოდი, რუსეთის ხესედების დირექტორთა ასოციაციის დირექტორი ლეონიდ კოლტონი და სხვ.

ახარეი მოთ

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება

საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი

კვირის საკითხავი თავი „ახარეი მოთ“ („დაღუპვის შემდეგ“) მოგვითხრობს ქოენ გადოლის (მთავარი ქოენის) მსახურებას ტაძარში იომ ქიფურში. ამ დღეს საბოლოოდ წყდება ცოცხალ არსებათა ბედი მთელი წლის განმავლობაში. და, იმისათვის, რომ გადაწყვეტილება ჩვენთვის სასიკეთო იყოს, საჭიროა მხოლოდ გამჩენის წინაშე ჩვენი ცოდვების გულწრფელი მონანიება და მტკიცე გადაწყვეტილების მიღება, რათა შემდგომში აღარ გავიმეოროთ ისინი. ქოენ გადოლი (მთავარი ქოენი) აღიარებს გამჩენის წინაშე ყველა ცოდვას, ინანიებს მათ, ითხოვს შეწყალებას და მსხვერპლს სწირავს გამჩენს თავისი სახელით, ყველა ქოენისა და ხალხის სახელით.

კვირის ამ საკითხავ თავში მოთხრობილია იმ მსხვერპლთა შესახებ, რომელთაც იომ ქიფურში სწირავენ და მითითებულია მათი თანმიმდევრობა. აქვე მითითებულია, რომ ტაძრის გარეთ მსხვერპლთშეწირვა აკრძალულია. ეს მითითებულია ფრინველის ან გარეული ქაშერი ცხოველის, როგორებიცაა ირემი, ფურირემი და ა. შ., დაკვლის შესახებ თხრობისას. ამ შემთხვევაში მათი სისხლი მიწით უნდა დაიფაროს. ამ თავის დამამთავრებელ ნაწილში მოთხრობილია აკრძალულ სქესობრივ ურთიერთობებზე.

ამ ბოლო ხანებში მსოფლიოს პრესაში ინტენსიურად განიხილება ტაძრის მთის საკითხი, თუ ვის ეკუთვნის ის და ვის შეუძლია მასზე ასვლა. ებრაული ტრადიციით ტაძრის მთა ოდითგანვე ებრაელებს ეკუთვნოდათ. ეს ადგილი ფიზიკური და სულიერების თვალსაზრისითაც სამყაროს ცენტრია. მუსულმანების მეჩეთში ალ აქსა, რომელიც დღეს ტაძრის მთაზე დგას ინახება ქვაკუთხედი, რომლისაგანაც დაიწყეს სამყაროს მშენებლობა. ამ ადგილზე აბრაჰამი მსხვერპლად სწირავდა იცხაკს, ამ ადგილას ნახა იაკობმა სიზმარში ის კიბე, რომელიც ზეცისაკენ მიემართებოდა და გამოღვიძებულმა წარმოსთქვა: „ეს სხვა არაფერია, თუ არა გამჩენის სახლი და ზეცის კარიბჭე.“

ჩვენ ვხედავთ, რომ ებრაულ ტრადიციაში ეს ადგილი განსაკუთრებულია, და ამიტომაც არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ წინასწარმეტყველების მეშვეობით ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტაძარი იდგება სწორედ ამ ადგილზე და არავითარ შემთხვევაში – სხვაგან. ამიტომაც, როცა მეფე დავითმა დაიწყო მომზადება, ხოლო მისმა ვაჟმა შლომომ ააგო ტაძარი, გასაგებია, რომ ის იდგა სწორედ იმ ადგილზე, სადაც გამჩენმა განსაზღვრა. პირველი ტაძარი 400 წელზე მეტ ხანს იდგა და ჩვენი ცოდვების გამო დაანგრია ნაბუქოდონოსერმა. მაგრამ წინასწარმეტყველების მიხედვით ის აღადგინეს 70 წლის შემდეგ. იმ პერიოდებში, როცა ბერძნები, რომაელები მართავდნენ იუდეას, ტაძარი იდგა. რომაელების მმართველობის პერიოდში მეფე ირომდა ჩაატარა აღდგენითი სამუშაოები და ისე გაალამაზა ტაძარი, რომ ჩვენი ბრძენები, კურთხეულია მათი ხსოვნა, ამბობდნენ, რომ ვისაც ეს არ უნახავს, არ უნახავს ნამდვილი სილამაზე ამ სამყაროში. რომაელების წინააღმდეგ ებრაელთა აჯანყებამდე ტაძარი იდგა და მასში ქოენები ასრულებდნენ მსხვერპლთშეწირვებს და სხვა სამუშაოებს თითქმის მის დანგრევამდე. მას შემდეგ განდევნილი ებრაელი ხალხის მზერა მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მიმართული იყო ამ ადგილისაკენ. ლოცვისას ნებისმიერი ქვეყნის ებრაელები იყურებიან ტაძრის მთის მხარეს. ტაძრის დასავლეთ კედელთან კი ებრაელები ინანიებენ ცოდვებს, ითხოვენ შეწყალებას, განდევნის (გალუთის) დასასრულს და ტაძრის აღდგენას.

1967 წელს ექვსდღიანი ომის შემდეგ ებრაელებმა მოიპოვეს ტაძრის მთასთან დაბრუნების უფლება. მისი წინამდებარე მოედანი გაასუფთავეს, და დღეს, ათასობით ებრაელს საშუალება აქვს ილოცოს. აქ დაუსრულებლად დგება მინიანები, აღინიშნება ბარ მიცვები, ცაპალის ჯარისკაცები დებენ ფიცს. ყველაფერ ამის მიუხედავად ტაძრის მთაზე ასვლის საკითხი ისევ სადავოა. არაბები ამის სასტიკი წინააღმდეგნი არიან, რადგან მთას თავისად თვლიან. ჩვენი ბრძენების აზრებიც იყოფა მთასთან დაკავშირებით. მთაზე არის ადგილები, სადაც ჩვეულებრივ მოკვდავს ფეხის დადგმა არ შეუძლია მათი განსაკუთრებული სიწმინდის გამო, წმიდათა წმინდაში კი მხოლოდ წელიწადში ერთხელ, იომ ქიფურში შეეძლო ქოენ გადოლს შესვლა. ეს ადგილები დღესაც წმინდაა და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია იქ ასვლა. ამასთან, არიან კანონმდებლები, რომლებიც ამბობენ, რომ მიახლოვებით ცნობილია ამ სიწმინდეების ადგილმდებარეობა, ხოლო მთის დანარჩენ მონაკვეთებზე შესაძლებელია ასვლა. ჩვენ ვლოცულობთ, რომ გამჩენმა მალე გადაგვწყვიტოს ეს პრობლემები და აღადგინოს ტაძარი.

კვირის ამ საკითხავ თავში მოთხრობილია ოჯახური თანაცხოვრების კანონები, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ – „ტაჰარათ ჰამიშფახა“-ს (ოჯახის სიწმინდეს). ეს კანონები კრძალავს სქესობრივ ურთიერთობებს ცოლ-ქმარს შორის ცოლის რიტუალური უწმინდურობის პერიოდში მის მიკვაში ჩაყვინთვამდე. ამ პერიოდში ქალს უწოდებენ – ნიდა – უწმინდური. მიუხედავად იმისა, რომ თორის კანონები ჩვენ მოგვეცა სულიერების შესანარჩუნებლად, საინტერესოა, რომ მეცნიერები მათში პრაქტიკულ სარგებლობასაც ხედავენ მათში. ცნობილია, რომ ებრაელი ქალები 14-ჯერ უფრო ნაკლები პროცენტით ავადდებიან საშვილოსნოს ყელის სიმსივნით არაებრაელ ქალებთან შედარებით. ეს კი არა მარტო იმის დამსახურებაა, რომ მამაკაცები წინადაცვეთილნი არიან, რადგანაც ამ საშინელი სენით დაავადებულ ებრაელ ქალთა რაოდენობა მუსულმან ქალებთან მიმართებაშიც ნაკლებია, მათი მეუღლეები კი ასევე წინადაცვეთილნი არიან. ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მათი პროცენტი ნაკლებია მათ მიერ ოჯახური სიწმინდის კანონების დაცვის გამო. თუმცაღა, ვიმეორებ, ჩვენ ამ კანონებს ვიცავთ არა იმის გამო, რომ მას მეცნიერები აღიარებენ, არამედ იმიტომ, რომ ასე გვიბრძანა გამჩენმა.

ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ოჯახური სიწმინდის კანონებს ასრულებდნენ ძალზე სასტიკ პირობებშიც კი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყეს სინაგოგების და მიკვების დახურვა. ებრაელი ქალები მდინარეებზე დადიოდნენ წესის დასაცავად ჩრდილოეთის მდინარეებზეც კი. ოჯახური წყვილი, რომლებიც 20 წლით გადაასახლეს ციმბირში სიონისტობისათვის ერთმანეთს არ ეკარებოდნენ 10 თვის განმავლობაში, რადგანაც მდინარე ენისეი ამ ხნის მანძილზე ყინულითაა დაფარული. როცა მათ ვაჟი გაუჩნდათ ბანაკში მოელიც კი იპოვეს და წინადაცვეთაც გაუკეთეს მას. მათი ვაჟი თორის მიმდევარი და ღირსეული ადამიანი დადგა. მე მსმენია, რომ 1953 წელს, როცა თბილისის სინაგოგა და მიკვე დაიხურა, ებრაელები მტკვარზე დადიოდნენ მიცვის შესასრულებლად. დღეს სინაგოგაში მოქმედებს მიკვა და ნებისმიერი ქალბატონი, რომელიც ამ მცნებას შეასრულებს (ზოგიერთ ქალს ამის გაკეთება მხოლოდ ერთხელ მოუწევს) დალოცვილი იქნება საშვილიშვილოდ.

ღღესასწაული ოჯახის წინ

სეფერ-თორის შებრძანება თბილისის დიდ ბეით-ქნესეთში

14 მარტს თბილისის დიდ ბეით ქნესეთში დიდებული ქართველი ებრაელობა შეიკრიბა, როგორც ადრევე იყო გამოცხადებული ეს დღე გახლდათ ბეით ქნესეთში ორი სეფერ-თორის დღე. ამიტომ იმ არაჩვეულებრივ დღესასწაულს და სადღესასწაულო, საზეიმო განწყობილება იმთავითვე შეიქმნა.

ხალხის ნაკადი თანდათან იზრდებოდა. დღესასწაულის განწყობას მშვენიერი მუსიკოსებიც ქმნიდნენ. სტუმართა შორის იყვნენ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური მეუღლესთან ერთად. "სოხნუთის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელი გრიგორი ბროდსკი. ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები. ეს დღესასწაული ბეით ქნესეთის ჯამაათს აჩუქეს სიძე-სიმამრმა ბენი ელიშაკოვმა და ბენი ბინიაშვილმა. ჯამაათი სეფერ-თორებს

ლესელიძის ქუჩის თავში დახვდა სანთლებით ხელში თეთრებში გამოწყობილი ბავშვები ლამაზად, ერთ მწკრივად განლაგებულნი მიუძღოდნენ ბენი ბინიაშვილს და ბენი ელიშაკოვს, რომელთაც ხელში სეფერ-თორები ეჭირათ. ამ ორი დიდი სიწმინდის შეწირვასთან ერთად ეს ორი ადამიანი იმასაც ცდილობდა, რომ ხალხში ამაღლებული განწყობილება შეექმნა.

ჯამაათმა სიხარულით, სიმღერით, ცეკვა-თამაშით მიაცილა სეფერ-თორები და აარონ ჰაკოდეშში შეაბრძანა. პირველი სიტყვა ბეით ქნესეთის გაბაიმ შალვა ქოსაშვილმა თქვა:

მადლობა მინდა გადავუხადო ბენი ბინიაშვილს, ბენი ელიშაკოვს, რადგან ესეთი წმინდა საქმე განიზრახეს — სინაგოგისთვის შეეწირათ ორი სეფერ-თორა. ღმერთმა კურთხევა მისცეთ და სიხარული, რადგან ჩვენ დაგვამადლიანეს. ჩვენი დღევანდელი არჩევანი ბრწყინავს, რადგან სეფერ-თორა მოიცავს სინათლეს, ასე რომ, ამ სინათლის შემობრძანებით თქვენ უფრო გაასხივოსნეთ ჩვენი სინაგოგის ნათელი და შუქი. ამას კი მაღალი ზნეობრივი საქციელი ჰქვია. მე ბედნიერი ვარ, რომ მონაწილე ვარ ამ დღის და ვიზიარებ საერთო სიხარულს, მივესალმები და მადლობას მოვახსენებ ამ ღირსეული საქმის წარმომადგენლებს. ძმობაში და მეგობრობაში უღალატო ადამიანებს. მივესალმები ბატონი ბენის მეუღლეს და მადლობას ვეტყვი იმისათვის, რომ აქტიურად ცდილობს მხარში ამოუდგეს თავის ქმარს. ასევე მივესალმები ბატონი ბენის სიმამრს და მადლობას მოვახსენებ.

სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელის ელჩმა საქართველოში ბ-ნმა შაბთაი ცურმა, საქართველოს მთავარმა რაბინმა არიელ ლევინმა, სიმონ იოსებაშვილმა, შალვა თეთრაშვილმა, დავით აზიზოვმა. გაზეთი „მენორა“ გაესაუბრა პირადად მთავარ რაბინს რიელ ლევინს.

— დღეს საქართველოში ისტორიული დღეა. ღირსშესანიშნავი დღე. დღეს ჩვენ სიხარულით ვხვდებით ერთმანეთს რადგან სეფერ-თორა არის მნიშვნელოვანი ებრაელი ხალხისთვის. მაისში დაბუდებული სიხარულიკი ძალიან ძვირფასია ჩვენთვის. ეს ახლად დაწერილი სეფერ-თორაა, რომლის ორი მნიშვნელოვანი მეცენატის მიერ არის ნაჩუქარი. ბენი ბენიაშვილის და ბენი ელიშაკოვის მიერ. ჩვენ სინაგოგაში მნიშვნელოვანი და ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელიც ასხივოსნებს ჩვენს ცხოვრებას იმიტომ, რომ თორა ეს არის ებრაელი ხალხის ცხოვრების საფუძველი.

მხოლოდ სიტყვები არ ყოფილა სეფერ-თორის შემობრძანების თანამგზავრი — იმ საღამოს ჭაღარა თბილისის ამ უბანს ფოიერვერკიც აფერადებდა, მაშხალების შუქიც და საზეიმო ფოიერვერკი.

თემის ცხოვრება მრავალ ასპექტს მოიცავს — არის სასიამოვნო და ჟამიერი ფაქტებიც, მაგრამ ბეით ქნესეთისადმი ორი სეფერ-თორის ჩუქების ფაქტი, ეს საზეიმო ცერემონიალი კიდევ ერთხელ ადასტურებს თემი თავის ცხოვრებას განაგრძობს, იზრდება და ძლიერდება.

ამინ!

თინათინ ჩიხრაძე

ისრაელის დამცველი ქართველი ებრაელი ჯარისკაცები

მიშელი და ციფი ნაფტალები (ნამთალაშვილები)



ციფი ნაფტალი (ნამთალაშვილი)

ქართული ფეხბურთის პირმშო

დასასრული. დასაწყისი იხ. "მენორა" # 7

მახსენდება ასეთი ეპიზოდი... 1982 წელს ჩავედი ქ. ტაშკენტში. ტაშკენტის „პახტაგორისა“ და კრასნოდარის „კუბანის“ მატჩზე თანაშემწის სახით სამსაჯოდ. მთავარი არბიტრი უნდა ყოფილიყო ა. მილჩენკო სოხუმიდან, მაგრამ ბუნებრივი პირობების გამო მან ვერ შესძლო ჩამოფრენა. ეს იყო დიდი ხნის ოცნების ასრულების შანსი. და, რა თქმა უნდა, ვღელავდი. შეხვედრის ინსპექტორი იყო ნ. ბალატკინი კიევიდან, რომელიც, იმის მაგიერ, რომ ჩემთვის მხარი დაეჭირა და სამსაჯოდ მოვემზადებინე, რეკავდა მოსკოვში თხოვნით მთავარ არბიტრად დაენიშნათ ვინმე სხვა, მახლობელი ქალაქიდან.

მოსკოვიდან პასუხობდნენ: მანდ, თქვენთან არის სავსებით კვალიფიცირებული არბიტრი, დაუნიშნეთ მას ორი კარგი თანაშემწე და პრობლემები არ გექნებათ. ბოლოს და ბოლოს თითქოს არ ვიმსაჯე ცუდად. მატჩი დამთავრდა მინდვრის მასპინძელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

უნდა გენახათ, როგორ ნერვიულობდა ბალაკინი ჩემი მსაჯობის შეფასების ჩვენებისას! გუნდების წარმომადგენლები ძალზე კმაყოფილნი იყვნენ ჩემით და მადლობას მიხდიდნენ. ბალაკინმა აცნობა მოსკოვს შეფასება „4,5.“ შეეშინდა დაესვა „5„“

იმავე წელს ა. მილჩენკო ისევ არ ჩამოვიდა ალმა-ატაში „კაირათისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ თამაშზე. არადა ორივე გუნდის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო: ერთი იბრძოდა გუნდის გადასარჩენად, ხოლო მეორე ევრო თასისათვის ადგილის მოსაპოვებლად. უკომპრომისო ბრძოლა რთულდებოდა იმით, რომ მინდორზე იდო თოვლი. ძნელია ჩემი სიხარულის გადმოცემა, როცა თამაშის შემდეგ თვით ა. მილჩენკომ მადლობა გადამიხადა მსაჯობისთვის. აღმოჩნდა, რომ მან ჩამოუსწრო მეორე ტაიმს და ყურადღებით აკვირდებოდა მატჩს, რომლის მსაჯობაც ძალიან რთული იყო. მან აღნიშნა: „მე რომ არა, ვინ მოგცემდა უმაღლეს ლოგაში ამ წლის ორი თამაშის მსაჯობის საშუალებას, მაგრამ ყოჩაღ, უკვე ძლიერი მსაჯი ხარ კარგი პერსპექტივით. ასე განაგრძე!“

ამასთან მინდა დავამატო, რომ მსაჯობის პერიოდში ბევრი რამ ავითვისე ჩემი შესანიშნავი წინამორბედებისაგან, როგორებიც იყვნენ კ. ყრუაშვილი, გ. ბაქანიძე, ვ. მიმინოშვილი, ა. მილჩენკო, გ. გვანცელაძე, ნ. ამირეჯიბი, უღრმესი მადლობა მათ.

ნიკოლოზ გავრილის ძე ლატიშჩევი:

— საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი — სამამულო ფეხბურთის უძლიერესი მსაჯი. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი. საბჭოთა და რუსეთის ერთადერთი არბიტრი, რომელიც მსაჯობდა ჩილეში 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს. დაჯილდოებულია ფიფას „დამსახურებისათვის“ და „ოქროს სასტვენის“ ორდენებით. „შრომის წითელი დროშისა“ (1957) და „საპატიო“ (1997) ორდენების კავალერი. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დიდად სამწუხაროა, რომ 1999 წლის 18 თებერვალს ნიკოლოზ გავრილის ძე გარდაიცვალა.

გურამი განსაკუთრებით ახლოს გავიცანი ლენინგრადში საერთაშორისო ტურნირებზე, რომლებსაც უწოდეს „გრანატკინის მემორიალი.“ მე ათი წლის განმავლობაში მნიშნავდნენ ტურნირის მთავარ მსაჯად და მავალებდნენ ამერჩია არბიტრები მათი მომსახურებისათვის. 80-იანი წლების ბოლოს მემორიალის ერთ-ერთ ტურნირზე ქართულმა კოლეგიამ წარმოგვიდგინა გურამ სეფიაშვილი. საკმაოდ პრესტიჟული და საპასუხისმგებლო მატჩებზე მისი სამსაჯო კონდიციების ძლიერი ზედმიწევნითი შემოწმების შემდეგ დავრწმუნდით ჩვენი მოთხოვნებისადმი მის სრულ შესაბამისობაში. ამიტომ ჩვენი ნაცნობობა ამით არ დასრულებულა: გურამს სისტემატურად იწვევდნენ მემორიალის თამაშებზე. ზუსტად არ მახსოვს რამდენი თამაში ჩაატარა მან ლენინგრადში. ვთვლი, რომ დაახლოებით ათიოდე. პრაქტიკულად გურამი ყველა თამაშზე ამტკიცებდა თავის საიმედოობას და საფუძვლიანობას. ყველა თამაში მიდიოდა ჩვენი მხრიდან რაიმე ექსცესებისა და სერიოზული შენიშვნების გარეშე. თუმცა, მახსოვს ერთი შეხვედრისას ჩვენმა ქართველმა მაინც დაუშვა ერთი სერიოზული შეცდომა, არ დანიშნა აშკარა პენალტი. რა თქმა უნდა, ძალიან ნერვიულობდა. მიუხედავად ამისა, ჩემი შეფასება მისი სამსაჯო თვისებების მიმართ არ შეცვლილა: კარგი მსაჯია!

ალბათ, შეცდომა იქნება თუ არ ვიტყვი, გურამ სიმონის ძის სუფთა ადამიანური თვისებების შესახებ. ჩვენი ურთიერთობის მრავალი წლის მანძილზე მან თავი წარმოაჩინა როგორც კეთილმა, ურთიერთობის მოყვარულმა, ძალზე კომუნიკაბელურმა ამხანაგმა. ბუნებრივია, რომ, როგორც საქართველოს უმეტესმა მაცხოვრებელმა, გურამმა შეისისხლხორცა იმ მხარისათვის ტიპური თვისებები: გულუხვობა, სიკეთე, შემძლეობა და გაქანება, მხიარულება და სიყვარული კაცური სუფრისადმი. ერთი სიტყვით, ის სიმპათიური ადამიანია!

ჟურნალი "ნოსტალგია" №3

გამოვიდა საქართველო-ისრაელის მეგობრობის იმერეთის რეგიონული განყოფილების ჟურნალი "ნოსტალგია". მისი მთავარი რედაქტორი გახლავთ პროფესორი, ცნობილი კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რედაქტორი ვიოლეტა ბუზიაშვილი, ხოლო ისრაელში რედაქტორი — იუზა ფიჩხაძე.

2008 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილია: ავთანდილ ნიკოლეიშვილის "ილია და ებრაელობა". იბეჭდება ინტერვიუები ქალაქ ქუთაისის მერთან, ბატონ ნუგზარ შამუგიასთან და ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარესთან პროფესიორ ამირან ხვადაგიასთან. ასევე იბეჭდება ლიტერატურა: სოსო სეფიაშვილი, გაქცევა არსაიდან (ფრაგმენტები რომანიდან). ცნობილი ებრაელი მწერლის ორციონ ბართანას ლექსები, რომელიც თარგმნა ომარ გვეტაძემ. გია ხოფერიას "დაფარული შუქის" ხიბლი და გამორჩეული სტუმრები". გურამ ბათიაშვილის რომანის შესახებ "თუ დაგივიწყო იერუშალაიმ" იბეჭდება ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილი. ჟურნალ "ნოსტალგიის" კილექტივი მას ულოცავს იუბილეს. იბეჭდება "რამდენიმე სიტყვა მიხეილ თეთროქალაშვილზე". ჟურნალის ბოლო გვერდზე ილო ფოტოგრაფის (ხახიაშვილის) ქანდაკებაა დაბეჭდილი, რომელიც მისივე სახელოსნოს წინ დადგეს ქუთაისში. (მოქანდაკე რეზო რამიშვილი). გარეკანზე: იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკაა, უკან მხარეს კი ქუთაისის მწვანეყვავილა (მხატვარი ზაურ მჟავანაძე).

თინათინ ჩიხრაძე

„ისრაელის ხალხი, ისრაელის მიწა“

არაფორმალური ებრაული განათლების საერთაშორისო ცენტრი „მელამედია“ აცხადებს კონკურსს თემის „ისრაელის ხალხი, ისრაელის მიწა“ საუკეთესო მეთოდურ დამუშავებაზე. პრიზები მიენიჭებათ ყოველ კატეგორიაში საუკეთესო ნაშრომებს.

კონკურსში გამარჯვებულს მიენიჭება მთავარი პრიზი 10 000 მანეთი სხვადასხვა კატეგორიებში გამარჯვებულებს მიენიჭებათ პრიზები 3000 მანეთი კონკურსის ყოველი მონაწილე მიიღებს წამახალისებელ პრიზებს.

კონკურსი ეძღვნება ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 60 წლისთავს და ტარდება შემდეგ მეთოდიკაში: ებრაული დღესასწაულების ჩატარება, ღირსახსოვარი დღეები, ისტორიული და ოჯახური თარიღები, დღესასწაულები, ჯგუფობრივი მუშაობა, ლექციები, დისკუსიები, მრგვალი მაგიდები, სათემო ღონისძიებები, აქციები, კონკურსები, თამაშები. თემატური საღამოები, გამოფენები, ექსკურსიები, კონცერტები.

„მელამედისას“ ცენტრის დირექტორი ნატალია სლობოდნიაკი
ტელ./ფაქსი: (495) 915 04 09
nisiacneo@gmail.com

* * *

ებრაული ხალხური მუსიკის საზოგადეობის 100 წლისთავისათვის სანკტ-პეტერბურგის ებრაული სათემო სახლი, რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი და სანკტ-პეტერბურგის კომპოზიტორთა კავშირი იტყობინებიან, რომ 27-29 ოქტომბერს ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ებრაული პროფესიული მუსიკა რუსეთში: ჩამოყალიბება, განვითარება“. კონფერენცია ეძღვნება სანტ-პეტერბურგში ებრაული სახალხო მუსიკის საზოგადოების ჩამოყალიბებას (1908-1922).

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნებიან ისტორიკოსები, მუსიკისმცოდნეები, ფოლკლორისტები, მოხსენებები, ინფორმაციები ეძღვნება როგორც უშუალოდ ებრაული ხალხური მუსიკის საზოგადოებას, ასევე ებრაული მუსიკალური კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებს. კონფერენცია იმუშავებს რუსულ და ინგლისურ ენებზე.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადები და თეზისები (არა უმეტეს 1 გვერდისა) გთხოვთ გადმოგზავნოთ ორგკომიტეტში 2008 წლის 1 სექტემბრამდე. მოხსენების კონფერენციის პროგრამაში ჩართვის თაობაზე ორგკომიტეტი გაცნობებთ არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ კონფერენციის ორგკომიტეტში:
191025, სანკტ-პეტერბურგი, რუბინშტეინის ქ.3, სპბ ებრაული სათემო ცენტრი (ორგკომიტეტი-სათვის) ფაქსი (812) 314-51-17
ელექტრონული მისამართი: frenk@Lea.Spb.su

იერუსალიმის ინსტიტუტ „პარდესში“ სწავლების წლიური პროგრამა

პროგრამის მოკლე აღწერა:
ებრაული ტრადიციების კლასიკური ტექსტების შესწავლა, ინტელექტუალური ძიებანი და ღია დიალოგი ყველაზე ფართო სპექტრის რწმუნებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები იმოგზაურებენ ებრაული წიგნების სამყაროში, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ შეიგრძნონ ეროვნული მეობა.

პროგრამის მთავარი შემადგენელები:
„პარდესი“ აღიარებული სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც წარმატებულად მუშაობს 1972 წლიდან.
პროგრამის დასრულებისას გაიცემა სპეციალური სერთიფიკატი.
„პარდესი“ გიწვევთ თქვენ ებრაული ცივილიზაციის გასაცნობად!
ებრაელი ხალხის კლასიკური წყაროები და თანამედროვე კომენტარები, ისტორია და ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნება, კანონები და წეს-ჩვეულებები, ხალხი, ოჯახი და პიროვნება, ერთობა და ინდივიდუალობა, წარსული, აწმყო და მომავალი.
ჩვენ არ გვწამს ფრონტალური ლექციები, ჩვენი მეცადინეობები შეიცავენ წყაროებთან დამოუკიდებელ მუშაობას, ორთა სწავლას (ხევრუტა), განსჯა, შემოქმედებითი პროექტები, საგანმანათლებლო მოგზაურობები და სხვა.
„პარდესში“ გვხვდება მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და თანამედროვეობა: იუდაიზმი და გენდერი, რას ფიქრობს იუდაიზმი კლონირებაზე, კოსმოსში გაფრენაზე და მშვიდობის სანაცვლოდ ტერიტორიების დათმობაზე. ჩვენ ერთად ვეძებთ ცვალებად სამყაროში თანამედროვე ადამიანის პასუხებს ამ და სხვა კითხვებზე!
პროგრამა არ მოითხოვს წინასწარ მომზადებას ან სპეციალურ ცოდნათა სხვადასხვაობას. სწავლების მრავალსაფეხურიანი სისტემა მოხერხებულია: დამწყებთა ჯგუფებიდან წარჩინებულ სტუდენტთა ჯგუფებამდე (6 საფეხური დანი). არ ხართ დარწმუნებული რომელ ჯგუფს მიეკუთვნებით? შეგიძლიათ სწავლების საფეხური ნებისმიერ მომენტში შეცვალოთ!
„პარდესში“ არ არის გამოცდები! ჩვენ უბრალოდ გვინდა თქვენ შეისწავლოთ ის, რაც თქვენთვის საინტერესოა. თქვენ თვითონ შეადგენთ თქვენს ცხრილს, თვითონ აირჩევს კურსს, სავალდებულო კურსები არ არსებობს!
ებრაულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მასწავლებელთა შესანიშნავი შემადგენლობა, როგორც ფორმალურში (ისრაელის უნივერსიტეტები), ისე არაფორმალური — სწავლების ფორმათა და მეთოდიკების სხვადასხვაობა.
„პარდესი“ მდებარეობს იერუსალიმში, ეს კი ნიშნავს, რომ გახდებით ერთი მათგანი, ვისაც წილად ხვდება ბედნიერება გაატაროს წელი მარადიულ ქალაქში!
პროგრამის დაწყების თარიღი: 1 აგვისტო
პროგრამის დასრულების თარიღი: 31 მაისი
პროგრამის ხანგრძლივობა: 10 თვე
მონაწილეთა ასაკი: 20-30 წელი
პროგრამა განკუთვნილია: მსოფლიოს ყველა ქვეყნის ებრაელი ახალგაზრდებისათვის.
სამუშაო ენა — ინგლისური.
ივრითის შესწავლა ულპანში
ორგანიზაციის დასახელება: ინსტიტუტი „პარდესი“, იერუსალიმი.

საკონტაქტო ინფორმაცია ისრაელში:
ტელ.: 972-2-6735210
ფაქსი: 972-2-6735160
პროგრამის ინტერნეტ-საიტი: www.pardes.org.il

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი